ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. გამოდის ოთხშაბათს და შაბათს | №4 (1634) | 17-20 იანვარი 1998 წ. | ფასი 50 თეთრი

## შე „ტუფტა“ დიპლომიანო, შენა!

9

## რას წერენ საქართველოს მტრები საქართველოზე?

7

## მიხეილ ოსაძეს ბრალდება ძველი ჩიკაგოს დაწვისა და კენედის მკვლელობის შესახებ ჯერჯერობით არ მოხსნია...

მეორე გვერდი

## ნოდარ ნათაძე: მე წინააღმდეგი ვარ ყოველგვარი ღონისძიებისა შევარდნაძის მოცილების მიზნით...

3

## ანონსი

### მკითხველთა საყურადღებოდ!

მომდევნო, ოთხშაბათის ნომერში დაისტამბება ნოდარ გრიგალაშვილის დოკუმენტური პიესა – „კონკურენცია ქართულად ანუ რამდენიმე სურათი და ეპიზოდი ყაჩაღების ცხოვრებიდამ“ პერსონაჟები – კონკრეტული პირები, ფაბულა – ნამდვილი და უტყუარი, სიუჟეტი – ტრაგი-კომიკური, ფინალი – ბუნდოვანი.

## ვინ მისტირის კომუნისტების რეჟიმს?!

4

## საგადასახადო ინსპექტორებს ბოლოს მოვუღებ — ამბობს მიხეილ ჭკუასელი

11

# თენგიზ კიტოვანს მისი მტერი და საკნის მეზობელი გედევან გელბახიანი მკურნალობს

როგორც „იფრინდა“-სათვის გახდა ცნობილი, თავდაცვის ყოფილი მინისტრი თენგიზ კიტოვანი, რომელიც სასჯელს ავჭალის კოლონიაში იხდის, უმძიმეს მდგომარეობაშია. ავადმყოფის ჯანმრთელობის მდგომარეობას თვალყურს ადევნებს და მკურნალობს მისი იდეოლოგიური მტერი გედევან გელბახიანი, რომელიც მხედრიონის ყოფილი ლიდერის ჯაბა იოსელიანის აფეთქების მცდელობისათვის იხდის სასჯელს. აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ რამდენიმე ხნის წინ, თ.კიტოვანი და გ.გელბახიანი მტრები იყვნენ, რადგან ეს უკანასკნელი ექსპრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მომხრეა.

გ.გელბახიანის თქმით, თ.კიტოვანი სასწრაფო სამედიცინო დახმარებას საჭიროებს, რადგან მას თითქმის არ გააჩნია გულის უკანა კედელი.

როგორც „იფრინდა“-ს განუცხადა პარლამენტის მსჯავრდებულთა და პენიტენციალურ საკითხთა ქვეკომიტეტის თავმჯდომარემ ე.თევდორაძემ, რომელმაც გუშინ მოინახულა თ.კიტოვანი, თ.კიტოვანს შესთავაზეს ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაყვანა, რაზეც პატიმარმა უარი განაცხადა იმ მოტივით, რომ არ ენდობა იქ მომუშავე ექიმებს.

აღნიშნულთან დაკავშირებით, სასჯელთა აღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილემ ჯემალ ქარუმიძემ განაცხადა, რომ მზად არის გადაიყვანოს თ.კიტოვანი ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში და მოიწვიოს ისეთი ექიმები, ვისაც ენდობა პატიმარი. (იფრინდა)

# მიხეილ ოსაძეს ბრალდება ძველი ჩიკაგოს დაწვისა და კენედის მკვლელობის შესახებ ჯერჯერობით არ მოხსნია...

როგორც საზოგადოებისათვის ცნობილია, საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარის მიხეილ ოსაძის მიმართ სხვადასხვა დროს პრესაში გამოქვეყნდა პრეტენზიები, რომლებიც შეეხებოდა 1991 წელს თამაზ წივწივაძის და სხვათა სატელეფონო საუბრების უკანონო მოსმენებს, 1993 წლის ზაფხულში უკანონო შეიარაღებული ფორმირებებისათვის ქალაქ სენაკის ჩაბარებას და 1993 წლის სექტემბრის დასაწყისში ძალოვანი სტრუქტურების მიერ დაგეგმილი ოპერაციის შესახებ რუსთავის „მხედრიონისათვის“ ინფორმაციის მიწოდებას.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ ჩაატარა შემოწმება.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ბატონ ზურაბ ჟვანიას გენერალური პროკურორის პირველმა მოადგილემ რ.ყიფიანმა აცნობა, რომ შემოწმების პროცესში მოპოვებული მტკიცებულებების მიხედვით ბრალდებები მიხეილ ოსაძის მიმართ არ დადასტურდა.

მითითებულ სამივე ფაქტთან დაკავშირებით გამოტანილია სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარის თქმის დადგენილებები.

საქართველოს პარლამენტის პრესცენტრი

**რედაქციისაგან**: *ამ განცხადებამ კიდევ ერთხელ გაგვახსენა არცთუ დიდი ხნის წინ გადატანილი ბატალიები მოსმენებთან დაკავშირებით, როცა უშიშროებამ მათ მამხილებელ მიხეილ ოსაძეს სამაგიერო იმით გადაუხადა, რომ ოსაძის შესახებ ყალბი დოკუმენტი შეთითხნა და პრესაში გამოაქვეყნა. მაშ ასე, პროკურატურის მიერ უკვე ოფიციალურადაც დადგინდა, რომ ეს დოკუმენტი მართლაც შურისმაძიებელთა მიერ შეთითხნილი ყოფილა, მაგრამ ოსაძეს მშვიდად მაინც არ უნდა ეძინოს. ჯერჯერობით მას არ მოხსნია ბრალდება კენედის მკვლელობისა და ძველი ჩიკაგოს დაწვის შესახებ, უფრო მეტიც, არის საფუძვლიანი ეჭვი, რომ გურიაში დაკარგული ოთხი კომბაინიდან სამი სწორედ ოსაძის კისერზეა...*

ინფორმაცია

# „საოცარი ქვეყანაა საქართველო...“

**წავიდა** ის დრო, როდესაც კავკასია შორეული რეგიონი იყო ევროპისათვის. ტერიტორიის პრობლემა აღარ არსებობს, ყველანი ძალიან ახლოს ვართ ერთმანეთთან. კავკასია მშვენიერია – ითქვა შეხვედრაზე, რომელიც საქართველოს საპატრიარქოში გაიმართა.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-სთან გამოსამშვიდობებლად მოვიდა ამიერკავკასიის ნავთობკომპანიის პრეზიდენტი ტერი ადამსი.

ნავთობსადენი ბაქოდან სუფსამდე მიმდინარე წლის ბოლოს ამოქმედდება. სამი წლის წინ კომპანიისთვის უდიდესი რისკი იყო აღდგენითი სამუშაოების დაწყება, მაგრამ დღეს, ღვთის წყალობით, – როგორც ბატონმა ტერი ადამსმა საუბრისას არაერთგზის აღნიშნა, რთულ პოლიტიკურ ვითარებაში წარმატება იქნა მიღწეული.

წარმატებებით კმაყოფილ ბატონ ტერი ადამსს, კახეთში სტუმრობისას ქართული საგალობლები რომ მოუსმენია, უთქვამს: – რასაც სიკვდილის წინ ვინატრებ, ეს კახური სიმღერა იქნება... საოცარი ქვეყანაა საქართველო, ასეთი პატარა და ასეთი მნიშვნელოვანი ისტორიის მქონე. ეს არის ქვეყანა, დიდებული წარსულით, რომელსაც შესანიშნავი მომავალი აქვს.

საქართველოთი მოხიბლული სტუმარი დიდი სიყვარულით დალოცა და ბედნიერი ახალი წელი უსურვა უწმინდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ. ბატონ ტერი ადამსს და მის მეუღლეს ქალბატონ კერელაინ ადამსს საჩუქრად გადასცა მაცხოვრის ხატი, ხელით ნაქარგი და ხეზე ნაკვეთი წმიდამოწამე გიორგის ხატი.

შეხვედრას ესწრებოდნენ საქართველოს ნავთობკომპანიის პრეზიდენტი გია ჭანტურია, კომპანიის მენეჯერი დენის სტიუარტი, საქართველოს ელჩი აზერბაიჯანში ზურაბ გუმბერიძე და სხვ. ოფიციალური პირები.

სალომე ბოჭინაშვილი,
საქართველოს
საპატრიარქოს პრესცენტრი

# ნადარეიშვილი-კაკუბავას პროცესი 21 იანვრისათვის გადაიდო

**გუშინ** მთაწმინდის რაიონის სასამართლოში დანიშნულ ნადარეიშვილი-კაკუბავას სასამართლო პროცესზე მისულ ჟურნალისტებს მოსამართლე ვახტანგ თალაკვაძემ გააცნო პარლამენტარ ბ.კაკუბავას წარმომადგენლის მიერ მიტანილი განცხადება, სადაც მოპასუხე მხარე აღნიშნავს, რომ არ არის საქმის კურსში, თუ რასთან დაკავშირებით იბარებენ სასამართლოში.

განცხადებაში ბ.კაკუბავა თხოვნით მიმართავს მოსამართლეს, მიეცეს მის წარმომადგენელს საშუალება გაეცნოს საქმის მასალებს, რისთვისაც პროცესის რამდენიმე დღით გადავადებას თხოულობს. პარლამენტარი აქვე ურჩევს მოსარჩელე მხარეს – აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს „არარსებულ პრობლემებს ნუ გადააყოლებს უფრო სერიოზული და საჭირო საქმეების მოგვარებისათვის გამოყოფილ დროს“.

მოსამართლემ დააკმაყოფილა ბ.კაკუბავას თხოვნა და პროცესი 5 დღით – 21 იანვრისათვის გადაიდო. ამ ხნის განმავლობაში მოპასუხემ უნდა წარადგინოს საპირისპირო მტკიცებები, ან სიტყვიერი განმარტება მისცეს სასამართლოს სარჩელის თაობაზე. ბ.კაკუბავას მეორეხელ გამოუცხადებლობის შემთხვევაში პროცესი მის გარეშე შედგება.

როგორც ჟურნალისტებს თ.ნადარეიშვილის ადვოკატმა ოთარ ბერიშვილმა აცნობა, ბ.კაკუბავას ჩაბარებული აქვს სასარჩელო განცხადების ასლი. ამდენად, ადვოკატი მოპასუხე მხარის გამოუცხადებლობას საქმის გაჭიანურების ერთ-ერთ მოტივად მიიჩნევს. (იფრინდა)

# «ბოსნიური ჯობია რუსულს, მაგრამ საუკეთესო არაა, საჭიროა ქართული»

**„საქართველოში** უაღრესად მძიმე ვითარება შეიქმნა. მმართველი პოლიტიკური ძალების არაერთგზის დაპირების მიუხედავად, საზოგადოებრივი ცხოვრების არცერთ სფეროში არ შეინიშნება გაუმჯობესება. განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს პოლიტიკური და სამხედრო პრობლემები“ – აღნიშნა ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის თავმჯდომარემ აკაკი ასათიანმა, კავშირის პოლიტიკური საბჭოს გუშინ გამართულ სხდომაზე.

მისი თქმით, საქართველომ სტარტი უნდა აიღოს, რათა 2001 წელს, რუსეთის არმიის შემოსვლის მე-200 წლისთავს რუსეთის ჯარების გარეშე შეხვდეს, რომლებიც ყოველგვარი დესტაბილიზაციის მატარებლები არიან საქართველოში. „დღეს ნეოკომუნისტებად გადაღებილი, რუსეთის ჯარებზე მდგარი ხელისუფლება მართავს საქართველოს“ – განაცხადა კავშირის ლიდერმა. იგი იმედს გამოთქვამს, რომ რუსეთის ჯარების გაყვანასთან დაკავშირებით შესაძლებელია საქართველოში ძალთა გაერთიანება. „დღევანდელ ხელისუფლებას ამ საკითხის გადაჭრის უნარი არ შესწევს და ვერც შესძლებს“ – აცხადებს კავშირის ლიდერი. მისი თქმით, 21-ე საუკუნეში მსოფლიო კასპიის ნავთობით იარსებებს, ნავთობსადენი კი საქართველოზე არ გავა, ვიდრე აქ რუსეთის ჯარები იდგებიან.

31 იანვარს აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო ჯარების ვადის ამოწურვასთან დაკავშირებით, ა.ასათიანმა აღნიშნა, რომ მთელი სერიოზულობით და კატეგორიულად უნდა დაისვას მათთვის ვადის არგაგრძელების საკითხი. ასევე საჭიროა გადაიდგას სერიოზული ნაბიჯები დსთ-ს სტრუქტურებიდან საქართველოს გამოსასვლელად.

რაც შეეხება „ბოსნიური ფორმატის“ აფხაზეთში განხორციელებას, კავშირის ლიდერს მიაჩნია, რომ „ბოსნიური მოდელი რუსულს ჯობია, მაგრამ საუკეთესო არაა, საკითხი ქართული მოდელით უნდა გადავჭრათ“.

მისივე განცხადებით, მემარჯვენე ფლანგზე უნდა ჩამოყალიბდეს ძლიერი პოლიტიკური ძალა, რომელიც საქართველოს მარჯვენივ წაიყვანს და საკუთარ ინტერესებზე მაღლა ქვეყნის ინტერესებს დააყენებს.

აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით, პოლიტიკურმა საბჭომ ერთხმად მიიღო დადგენილება. (იფრინდა)

# აფხაზეთის პრობლემა მხოლოდ ქართული ვარიანტით გადაიჭრება

**აფხაზეთის** პრობლემის გადაჭრის ბოსნიურ ვარიანტთან დაკავშირებით, საქართველოს ეროვნული იდეოლოგიის პარტიამ გაავრცელა განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ ეროვნული იდეოლოგიის პარტია აფხაზეთის პრობლემის მოგვარების ბოსნიური ვარიანტის წინააღმდეგია, რადგან იგი აფხაზეთის ტერიტორიის კიდევ უფრო დანაწევრებას გამოიწვევს და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას ხელს შეუშლის.

საქართველოს ეროვნული იდეოლოგიის პარტია თვლის, რომ აფხაზური პრობლემა გადაიჭრება არა ბოსნიური ან რუსული, არამედ მხოლოდ ქართული ვარიანტით, რომელიც საქართველოში თავის კანონიერ უფლებებში ეროვნული იდეოლოგიის აღდგენას და ეროვნული თვითმმართველობის დამკვიდრებას გულისხმობს. როგორც პარტიის განცხადებაშია ნათქვამი, ეროვნული იდეოლოგიის აღდგენა და ეროვნული თვითმმართველობის დამყარება ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას შეუწყობს ხელს და აფხაზეთის პრობლემას უმტკივნეულოდ გადაჭრის. (გეა)

# ბატონ გიორგი მამაცაშვილს

**ბატონო გიორგი**, გაზეთ „საქართველოს“ 1997 წლის 111-ე ნომერში დაიბეჭდა სტატია: „სატანა ეკლესიისკენ იწევს“. მას ეფექტის გაძლიერების მიზნით ახლდა ძალიან უცნაური ფოტო, რომელშიც კონკრეტული პიროვნების ამოცნობა ძნელია და რომელიც თავის დროზე მრავალგზის იყო გამოქვეყნებული სხვადასხვა გაზეთებში, როგორც განზოგადოებული მხატვრული ფოტომასალა. აღნიშნული სურათი რედაქციამ შეისყიდა ფოტოგრაფ ზ.დათუაშვილისაგან და სხვების მსგავსად ჩვენც ვიყენებდით მას. არასოდეს ამ ფოტოს გამოქვეყნების გამო არავის პროტესტი არ გამოუთქვამს. გამოხდა ხანი და ზემოთხსენებულ სტატიასთან ამ ფოტოს მოთავსების გამო რედაქციაში აღშფოთებული მობრძანდით და განაცხადეთ, რომ იგი თქვენი ნებართვით პუბლიკაციის მიზნით რამდენიმე წლის წინ გადაგიღოთ ფოტოგრაფმა, რომ შეურაცხყოფილი ხართ თქვენი ფოტოს ხსენებული სათაურის გვერდით მოთავსებით. მიუხედავად იმისა, რომ ფოტოსურათი იმდენად დეფორმირებულია და იმდენად ჭირს მასში კონკრეტული პიროვნების ამოცნობა, რომ მხატვრული ფოტოსა და მისი პროტოტიპის იდენტურობას მშობელი დედაც კი ვერ შეძლებს, ჩვენ მაინც ვწუხვართ მომხდარის გამო.

გვერწმუნეთ, გულწრფელად ვწუხვართ და ჩვენდაუნებურად გულისტკენისათვის გიხდით ბოდიშს.

**პატივისცემით, გელა ებანოიძე,**
გაზეთ „საქართველოს“ მთავარი
რედაქტორის მოადგილე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინფორმაცია

## გუდაურში მოწონებული კანონპროექტი ალბათ ჩაილურის წყალს დალევს...

ბოლო ორი წელიწადია, რაც საქართველოში აქტიური მუშაობა მიმდინარეობს პრესის ახალი კანონის მისაღებად. ამ ხნის განმავლობაში წარმოდგენილი იყო შვიდამდე დასახელების კანონ-პროექტი, რომელთა უმრავლესობა ხან საკანონმდებლო, ხან მეოთხე ხელისუფლებისათვის უბრალოდ მიუღებელი იყო. თითოეული მათგანის განხილვისას მხოლოდ ახალ კანონპროეტზე მუშაობის ალტერნატივა რჩებოდა და შესაბამისად იქმნებოდა კიდეც „გამოსწორებული" ვარიანტი.

სწორედ „რეზონანსის" მიერ წარმოდგენილი „გამოსწორებული" კანონპროექტი განიხილეს გუდაურში გამართულ შეხვედრაზე, რომელშიც, როგორც მისი ორგანიზატორები აცხადებენ, პრესისა და ტელეკომპანიის ყველა წამყვანი წარმომადგენელი იღებდა მონაწილეობას. ბუნებრივია, მათ უნდა მიეღოთ შემაჯამებელი და ორივე მხარისათვის მისაღები ვარიანტი და ამის შესახებ იმავე „წამყვანი" პრესის საშუალებით ეცნობა კიდეც საზოგადოებას, რომ პროექტი დამუშავებული იყო და შეიძლებოდა წარდგენილი ყოფილიყო დასამტკიცებლად.

თუმცა, გუშინ მოწყობილ ჟურნალისტთა შეკრებაზე, რომელიც თამუნა ჩიქობავას ორგანიზატორობით შედგა, აბსოლუტურად საწინააღმდეგო მდგომარეობა დაფიქსირდა. გაირკვა, რომ გუდაურში ჩასული ჟურნალისტების უმრავლესობა მხოლოდ ფორმალური დამსწრის როლში გამოდიოდა, რომლებიც თავის პოზიციას მხოლოდ შესვენების დროს ერთმანეთთან საუბრისას აფიქსირებდნენ.

ორგანიზატორი აღშფოთებული იყო იმ გარემოებით, რომ დღეს, საქართველოში, ჟურნალისტების 99%-ს წარმოდგენა არა აქვს იმაზე, თუ რას ითვალისწინებს ის პროექტი, რომლის დამტკიცების შემთხვევაში, მისდა შესაბამისად უნდა იმუშაონ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. დაგვეთანხმებით, ეს საკმაოდ პარადოქსული ფაქტია.

შეკრებაზე ნოდარ გრიგალაშვილის მიერ თითქმის მუხლობრივად იყო განხილული კანონპროექტი.

ნ.გრიგალაშვილმა ამ კანონპროექტს, გუდაურში მოწონებულსა და მწვანეშუქანთებულს, როგორც იტყვიან, ბრდღვირი ადინა და ქვა-ქვაზე არ დატოვა.

დამსწრეთა უმრავლესობამ გაიზიარა მისი შენიშვნები.

გუდაურში მოწონებული კანონპროექტი ალბათ ჩაილურის წყალს დალევს...

ხათუნა მაღრაძე

# პარტიების ქვეყანა

## მოუსმინეთ ლიდერს!

*ვინ დასთვალოს ზღვაში ქვიშა და საქართველოში პარტიები. დადგა დრო, ქვეყანაში ნამდვილი პარტიები დარჩეს და არა სამკაციანი, ამბიციებშეყრილი ორლობის ჯგუფები.*

*გადავწყვიტეთ, დღეს არსებული თითოეული პარტიის ლიდერი ჩვენი გაზეთიდან შევახვედროთ მკითხველს. მოსახლეობამ გაიგოს და განსაჯოს, ვინ რა პოზიციაზე დგას, ვის რა დონე აქვს, ვის აზრს შეიძლება სცეს პატივი, ვისას – არა.*

*პარტიათა სიმრავლის გამო რუბრიკა მთელი წელი, ალბათ, მუდმივმოქმედი იქნება.*

*რიგითობა დაცული არ არის. ლიდერებს შეუძლიათ თავადაც გამოგვეხმაურონ. ვიწყებთ ნოდარ ნათაძის ინტერვიუთი, როგორც ყველაზე სტაჟიანი ლიდერისა.*



## ნოდარ ნათაძე:

# მე წინააღმდეგი ვარ ყოველგვარი ღონისძიებისა შევარდნაძის მოცილების მიზნით...

*– ბ-ნო ნოდარ, თითქოს საკმაო დრო გავიდა მას შემდეგ, რაც დამოუკიდებლობა გამოვაცხადეთ, მაგრამ ეს მცირე დროცაა განვლილის შესაფასებლად. როგორ გესახებათ დღევანდელი ვითარება წარსულის გათვალისწინებით?*

– დღეს მე დროს იმ დღიდან კი არ ვანგარიშობ, როცა დამოუკიდებლობა გამოვაცხადეთ, არამედ იმ დღიდან, როდესაც საქართველოს ეროვნული მთავრობა დაემხო და მოვიდა ახალი ჯგუფი. ხელისუფლებაში მოვიდა არა მხოლოდ სხვა კონტინგენტი, არამედ თვისობრივად სხვა კონტინგენტი, რომლის ერთი ნაწილი სუბიექტურადაც და ობიექტურადაც იყო ანტიეროვნული, მეორე ნაწილი კი მხოლოდ ობიექტურად. ამ ხროვის ხელში ვართ დღესაც. აქ არ არის ორი ძალის დაპირისპირება – ვთქვათ, ფერშეცვლილი კომუნისტებისა, შევარდნაძის მეთაურობით, ერთის მხრივ და ქვეყნის ერთგული ხალხისა, მეორე მხრივ, აქ არის ორი უძლურების დაპირისპირება. შევარდნაძე, შეიძლება ითქვას, მსოფლიოში ყველაზე უძლური მმართველია. 70 ათასიანი პოლიცია რომ ჰყავს, იმ პოლიციაში 500 კაციც არ იქნება ისეთი, რომელიც მისთვის თავს გაწირავს და სარისკო საქმეს ჩაიდენს. წარმტაცი იდეები რომ ჰქონდეს და ამით იზიდავდეს გულს, ამის გაფიქრება ხომ სასაცილოა. მაგრამ შევარდნაძე სუფევს და საქართველო გადაჩეხვისკენ მიჰყავს მხოლოდ იმის წყალობით, რომ ჩვენ, ქვეყნის ერთგული ქართველები, კიდევ უფრო უძლურნი ვართ. ამიტომ მე წინააღმდეგი ვარ ყოველგვარი ღონისძიებისა შევარდნაძის მოცილების მიზნით, საარჩევნო იქნება ეს თუ საპროპაგანდო. წინააღმდეგი ვარ მანამდე, სანამ ჩვენი ძალა არ შეგვიქმნია, რომელიც დღევანდელ მმართველობას უხმაუროდ შეცვლის – მოჰკიდებს ხელს და საბრალდებო სკამზე გადასვამს.

*– მაგრამ 1991 წელს არც ეროვნული ძალების გაერთიანება მოხდა და ეროვნული ხელისუფლების მოწინააღმდეგეებმაც გაიმარჯვეს.*

– მასა განზე იყო გამდგარი და მოვლენებს გვერდიდან უყურებდა. ბევრი უკმაყოფილო იყო ზვიად გამსახურდიასი. ამიტომ აქტიურად არ დაიცვეს.

*– თქვენ ზვიად გამსახურდიას პირველი ოპონენტი არ იყავით?*

– ოპონენტი ერთია და მონაცვლე, მითუმეტეს დანაშაულის გზით მოსული მონაცვლე, მეორეა. მაშინ რაც ხდებოდა, იმის მთელი ტრაგიკული სიღრმე მასას არ ესმოდა. არ ესმოდა იმ უბედურების მთელი სიღრმე, რომელიც ჩვენს თავზე მოსავლენად იყო გამზადებული. მაშინ ერთიანობა კი არა, უბრალო კანონმორჩილებაც იკმარებდა.

*– გაერთიანებას მაშინაც და ახლაც რა უშლის ხელს?*

– დღეს გაერთიანება ძალიან ძნელია. პირველ ყოვლისა, მას ხელს უშლის ძალიან ძლიერი როგორც ფსიქოლოგიური, ისე მსოფლმხედველობითი მომენტები. ჩვენში ადამიანი დაჩვეულია დეტერმინისტულ აზროვნებას; ფიქრობს, „რაც მოსასვლელია, მაინც მოვა ისტორიის კანონების ძალით, მოდი, ამას რაც შეიძლება იოლად და რაც შეიძლება მუქთად შევხვდეო". ეს მანკიერი პოზიციაა, მაგრამ ჩვენში მაქსიმალურად გავრცელებული. საქართველოში არის 90 პარტია და ყველა პარტიის ლიდერს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი სიცოცხლის ბოლომდე დარჩეს პარტიის ლიდერად. ასე საქმე არ კეთდება.

*– თქვენ არ გსურთ ბოლომდე პარტიის ლიდერობა?*

– ნეტა მაჩვენა და მომცა ის კაცი, რომელიც ამ საქმეს ჩემზე უკეთ გააკეთებს. მე სხვა კონკრეტული საქმეც მაქვს ჩემი პროფილის კაცის, რა თქმა უნდა, უნდა ემსახუროს სამშობლოს, მაგრამ უპირატესად რიგითის როლში.

*– დღეს პარლამენტის ოპოზიცია...*

– არიან წარუმატებელი პარტიებიც და წარმატებულებიც, რომლებიც ოპოზიცია არიან ან ოპოზიციას თამაშობენ. სინამდვილეში კი შევარდნაძესთან შეთანხმებულნი არიან, ან იმედი აქვთ, რომ მომავალში იქნებიან. მინდა ხაზი გავუსვა შემდეგს – როდესაც რომელიმე ქვეყანაში ოპოზიცია ებრძვის ხელისუფლებას და ხელისუფლებაში მოსვლა უნდა, ყველა უპირატესობა, როგორც წესი, ხელისუფლების მხარესაა. ორგანიზაციაც მეტი აქვს, სახსრებიც, პროპაგანდის საშუალებაც, მოსახლეობის განწყობილების ინერციაც მის მხარეზეა. მაგრამ ოპოზიცია ხშირად იმარჯვებს. რის ხარჯზე? მხოლოდ და მხოლოდ იმის ხარჯზე, რომ ოპოზიცია უფრო უხვად, უფრო უშურველად და უფრო უკანმოუხედავად დებს სასწორზე თავის ადამიანურ მასალას, თავის სისხლს, ხორცსა და ენერგიას. ოპოზიცია კარიერის იმედზე შეუძლებელია. იგი მხოლოდ იდეის საფუძველზეა შესაძლებელი. კაცს მეტი უნდა ემეტებოდეს თავისი პირადი ცხოვრებიდან საქმეში ჩასადებად, ვიდრე ამ საქმიდან ამოღებას მოელის. იმ პარტიებში, რომლებზედაც მოგახსენეთ, ამ იდეებს ვერ ვხედავ. ფიქრობენ, მოდით, არჩევნების გზით როგორმე შევიდეთ მთავრობაშიო. კი ბატონო, შეხვალთ მთავრობაში, მერე რას აკეთებთ? რისთვის შეხვალთ? მხოლოდ იმისთვის, რომ კეთილდღეობა მოიპოვოთ? კეთილდღეობის მოპოვება მათ გარდა სხვასაც უნდათ, გავლენის მოპოვებაც სხვებისთვის ამდენადვე საწადელია. თუ ის სხვა კიდევ უფრო უსინდისოა და უპრინციპო, უფრო მლიქვნელი და ქვემძრომი, ან უფრო დაახლოებულია დღეს ხელისუფლებასთან, ის სხვა, მაშინვე მოიგებს.

*– 1991 წლის გადატრიალების დროს როგორღა იყო ერთიანობის საქმე?*

– მე ამაზე უფრო დაწვრილებით და ვრცლად სხვა დროს ვილაპარაკებ. ახლა ზოგადად გეტყვით: 1991-ში, ვინც ზვიადის წინააღმდეგ იბრძოდა, ის აქტიურ პოზიციაში იყო. ვიღაც აჯანყდა, ვიღაც იმ აჯანყებას მიემხრო. ამათში იყვნენ მოსყიდულებიც, დაბრმავებულებიც, მომავალ პრივატიზაციაზე დახარბებულებიც. ხაზს ვუსვამ, – საქართველოს მომავალ პრივატიზაციაზე, საქართველოს სიმდიდრის დატაცებაზე დახარბებულები. ესენი იყვნენ აქტიურნი. ვისაც უნდა დაეცვა ეროვნული ხელისუფლება, ვისაც უნდა დაეცვა საქართველოში სტაბილურობა და მშვიდობა, პირიქით, ის, პირიქით პასიური იყო, რატომ? იმიტომ კი არა, რომ ზვიადის მტრები იყვნენ. ეს პატიოსანი ადამიანები ზვიადის მტრები არ იყვნენ. ისინი პასიურნი დარჩნენ იმიტომ, რომ ზვიადმა ბევრი იმედი ვერ გაუმართლა.

*– სისუსტით?*

– დიახ, მხოლოდ სისუსტით და არა კეთილი ნების უქონლობით.

*– თქვენც ამ კატეგორიას აკუთვნებთ თავს?*

– არა, მე ვეკუთვნი იმ კატეგორიას, რომელიც თავიდან ბოლომდე ენაგადმოგდებული დარბოდა და ეძებდა რაღაც გზას ამ მოვლენების არიდებისათვის. მე პასიური არ ვყოფილვარ, ვცდილობდი გამეკეთებინა, რაც შემეძლო.

*– თქვენ ხომ იმ ხელისუფლების წინააღმდეგი იყავით?*

– არა. მე მიმაჩნდა, რომ ზვიადი უნდა გადამდგარიყო,..რადგან მისი გადადგომის შემთხვევაში რჩებოდა ეროვნული იარაღი – საქართველოს უზენაესი საბჭო, რომლის 80% პატრიოტი ხალხით იყო დაკომპლექტებული. ვამბობდი, ზვიადის მორალური მოვალეობაა გადადგეს-მეთქი. ამ მოვალეობას კაცი მოიხდის თუ არა, უკვე მისი საქმეა. ზვიადი რომ წასულიყო აქტიური პოლიტიკიდან მცირე ხნით ან დაბრუნებულიყო იმ პოსტზე, რომელიც ჰქონდა – უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ – ყველაფერი მოგვარდებოდა.

*– იცით, რა, მაშინ ისე იყო მომართული ოპოზიცია, რომ იტყოდნენ: ეს უბრალოდ მაკიაჟიაო.*

– იყო საქართველო თავისი ძალიან სუსტი ხელისუფლებით და ძალიან დიდი ზურგზე აკიდებული ცილისწამებით. ეს ერთ მხარეს. მეორე მხარეს იყო მსოფლიო, რომელიც გვიყურებდა, ხითხითებდა ჩვენი გაჭირვებისა და შეცდომების შემყურე. აი, ამ მსოფლიოსთან იყო საჭირო საერთო ენის გამონახვა.

*– როგორია საქართველოს უახლესი განვითარების თქვენეული პროგნოზი?*

– მოგახსენებთ მხოლოდ პოლიტიკურ განვითარებაზე, ამ სიტყვის ვიწრო აზრით და არა სახელმწიფოს ბედზე საერთოდ. საქართველოში მწიფდება ვითარება ეროვნული ძალისხმევისათვის. ეს ძალისხმევა იმდენად ძლიერი იქნება, რომ მას ვერავინ ვერ „დაარბევს" და ვერ ჩაკეტავს. ოღონდ ჩვენი ამოცანაა და უძნელესი ამოცანაა ეს ძალისხმევა არასწორი გზით არ წარიმართოს. ხალხის სიძულვილი მთავრობისადმი დესტრუქციული ძალაა; ხალხის სიყვარული სამშობლოსადმი – კონსტრუქციული. საკმარისია, რაც საქართველოში გარედან ინსპირირებულმა დესტრუქციულმა ვნებებმა იბატონეს.

ესაუბრა მანანა იაშვილი

ინფორმაცია

## „ეკლესიის გარეთ ნუ შეიძენთ სანთლებს და ხატებს“

ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიაში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით გუშინ საქართველოს საპატრიარქოში პრეს-კონფერენცია გაიმართა.

როგორც აღინიშნა, ეკლესიას განდგომილი ბერები, რომლებმაც მართლმადიდებლური ეკლესიის პარალელური სტრუქტურის შექმნა მოინდომეს, ერთმანეთს დაუპირისპირდნენ.

საპატრიარქოს კანცელარიის უფროსის ზურაბ ცხოვრებაძის განცხადებით, აშშ-ს მართლმადიდებელი ეკლესიის ეპისკოპოსთა წმინდა სინოდის მდივანმა სერაფიმემ წერილი გამოუგზავნა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია მეორეს, რომელშიც აცნობებს სინოდის მიერ მიღებული ზომების შესახებ. კერძოდ, ნიუ-იორკში შეკრებილ ეპისკოპოსთა წმინდა სინოდის გადაწყვეტილებით, მღვდელ ანდრია ბოროდას, რომელსაც დროებით ჰქონდა აკრძალული მღვდელმოქმედება, სამუდამოდ ჩამოერთვა მღვდელმოქმედების უფლება.

შეგახსენებთ, რომ ანდრია ბოროდი გადავიდა აქსენტიანელთა დაჯგუფების ბოსტონელთა ფრთაში. 1997 წლის მაისში იგი ჩამოვიდა საქართველოში და ბეთანიაში შეუერთდა ქართულ ეკლესიას განდგომილ ბერებს. აქედან გამომდინარე, გაირკვა განდგომილთა ალიანსი ბოსტონელთა ფრთასთან. ზ.ცხოვრებაძის განცხადებით, ა.ბოროდა საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ მიწვეულ იქნა საქართველოს პარლამენტში კონსულტანტად რელიგიის კანონის შემუშავებაში. მისივე თქმით, ა.ბოროდა იმისათვის იღწვის, რომ მართლმადიდებლური რელიგია არ იქნას მიღებული პრიორიტეტულ რელიგიად საქართველოში და საქართველოს თავს ახვევს აშშ-ს მოდელს, სადაც არ არსებობს პრიორიტეტული რელიგია. განდგომილი დაჯგუფების წევრები დადიან საქართველოს რეგიონებში და ახდენენ ადგილობრივი მოსახლეობის დეზინფორმირებას და გაუთვითცნობიერებლად გადაყვანას თავიანთ რელიგიაში.

სიონის საკათედრო ტაძრის წინამძღვარმა, პროტოპრესვიტერმა გიორგიმ მიმართა ფართო საზოგადოებრიობას, გამოიჩინონ გულისხმიერება და საკუთარი ერისა და ეკლესიის ისტორიის ცოდნა, რათა არ წამოეგონ დემაგოგიური ქადაგების მზაკვრულ ხერხებს და არ ჩავარდნენ ცოდვაში. მისი თქმით, აღნიშნული დაჯგუფების მოქმედება კარჩაკეტილობისაკენ არის მიმართული და ისინი არიან იმ ფუნდამენტალიზმის მიმდევრები, რომლებიც შეუწყნარებლობას ქადაგებენ.

პრეს-კონფერენციის ორგანიზატორებმა მოუწოდეს მოსახლეობას – მაქსიმალურად შეზღუდონ ეკლესიის გარეთ ხატებისა და სანთლების შეძენა, რადგან ხდება მათი წაბილწვა. კერძოდ, სანთლებში ხდება რიტუალური ქონის შერევა, ხოლო ხატების უკანა მხარეზე შიშველი ქალის სურათებია. მათი თქმით, ამას აკეთებენ საქართველოში მომქმედი სატანისტური სექტები. (იფრინდა)

# ვინ მისტირის კომუნისტების რეჟიმს?!

## ლევან მალაზონია

ბოლოს და ბოლოს, რა შექმნა ლენინმა, თუ არა პარტია. პასუხი ერთადერთია: კომუნისტური კასტა, აბსოლუტურად არავითარ კონტროლს რომ არ ექვემდებარებოდა 1917 წლიდან 1991 წლამდე! არავითარ კონტროლს! და ეს შეიძლებოდა ყოფილიყო პარტია? (დროა სიტყვები „ძველი პარტიულები“ შეიცვალოს და დამკვიდრდეს ახალი გამოთქმა – „ძველი კასტელები“).

ქვეყანას „მართავდა“ ბოლშევიკების მიერ შექმნილი ერთადერთი ძალა – უზარმაზარი სამხედრო-ჩეკისტური მახინა. საბჭოებს და ადამიანებს ისეთივე ხმის უფლება ჰქონდათ, როგორიც აქეთ ზღვაზე მოტივტივე მედუზებს – არც მეტი, არც ნაკლები. თუმცა, სახელმწიფოს ერქვა „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი“. აბსოლუტურ ჭეშმარიტებას ქადაგებდა ის, ვინც ამ კასტაში პირველ სკამზე იჯდა.

74 წლის განმავლობაში კომუნისტების ყრილობებზე, სესიებზე, კონფერენციებსა თუ მთელ უზარმაზარ იმპერიაში მილიონობით გამართულ კრებებზე თუ წამომდგარა ფეხზე თუნდაც ერთხელ მაინც კასტის წევრი და თუ გამოუთქვამს საწინააღმდეგო აზრი იმ დირექტივების უარსაყოფად, კრემლში რომ მიიღებდა რომელიმე დიქტატორი! ან თავი თუ შეუკავებია ვინმეს ერთადერთხელაც კი! ეს არ მომხდარა და არც შეიძლებოდა მომხდარიყო! ერთმა ძველმა ბოლშევიკმა ამაზე ამას წინათ ამგვარი პასუხი გამცა – პარტია მონოლითური იყო და იმიტომო!.. ამგვარად მოაზროვნე ადამიანი მართლაც რომ საცოდავია. იყო რაღაც სასაცილო და ამაზრზენიც იმაში, როცა ეკრანზე დიქტორის აღფრთოვანებული საზეიმო სიტყვების ფონზე გამოჩნდებოდა – როგორ სინქრონულად აიშვერდნენ ხელებს კომუნისტები ამა თუ იმ საკითხზე „ბჭობისას“. საწინააღმდეგო აზრის გამოთქმას თვით ბუდეში, კრემლში პოლიტბიუროს წევრებიც ვერ ბედავდნენ დიქტატორის მაგიდასთან ჯდომის დროს და „მართავდა“ უკონტროლო ძალაუფლების მქონე კასტა ქვეყანას.

განუწყვეტელი რეპრესიებით კომუნისტები ერთდროულად 3 კურდღელს იჭერდნენ: ჯერ ერთი, აშინებდნენ და სულიერად თრგუნავდნენ მოსახლეობას, ხმის ამოღება ფიქრშიაც რომ არ გაევლოთ; შემდეგ, ათეულ მილიონობით გადასახლებულ ადამიანებს იყენებდნენ უფასო მუშახელად შუა აზიის საბადოებსა თუ ციმბირის ტაიგებში; და ბოლოს ქვეყანაში არსებულ სიღატაკეს, შიმშილს, ყოველგვარ ჩამორჩენილობას, მსოფლიოს თვალში ამართლებდნენ საბჭოეთში ვითომდა მომქმედი მტრული ძალებით. ამიტომ რეპრესიები იძულებითი მოვლენები იყო! ასე ამართლებდნენ ისინი თავიანთ ნამოქმედარს...

1917 წლის ოქტომბერი, ანუ გერმანიის აგენტურის მეშვეობით ბოლშევიკების მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდების დღე, ზამთრის სასახლეში მოკალათებულმა კასტამ, კაცობრიობის ახალი ერის დასაწყისად მონათლა.



1921 წლის 25 თებერვალს, ქართველთა დაპყრობის დღეს, საქართველოს განთავისუფლების დღე დაერქვა! (ასევე ეწოდა სხვადასხვა წლებსა და თვეებში წითელ იმპერიაში მოქცეულ სხვა ხალხების დამონების დღეებსაც).

მსგავსი რამ კაცობრიობის ისტორიაში არასდროს მომხდარა!

ამ პლანეტაზე არ ყოფილა შემთხვევა, რომ მტერს დაპყრობილი ხალხისათვის მოეთხოვოს – დამონების დღე განთავისუფლების დღედ იზეიმეთო! და თან სადაც მოედანი ნახოთ, ჩვენი ძეგლები დადგითო! ერის ტრაგედიის დღეს ათეული წლების განმავლობაში ბოლშევიკური აგიტაციის ძალდატანებით ხალხი ტაშ-ფანდურით ეგებებოდა! და ასე იხრწნებოდა სულიერად თაობები (იმითაც წაბილწეს დამპყრობლებმა წმინდა ადგილები, რომ უამრავ სოფელსა და ქალაქს თავიანთი სახელები დაარქვეს, რაც არც ერთ ჩვენს მტერს არ გაუკეთებია).

გლეხებს არა თუ დეკრეტებით შეპირებული მიწა მისცეს, არამედ, რაც ჰქონდათ, ისიც წაართვეს და საშინელი დაუნდობლობით კოლექტივიზაცია წამოიწყეს. მშრომელი, გამრჯე, კარგი მეურნე გლეხი, ესე იგი ის, ვინც შეძლებურად ცხოვრობდა, კულაკად მონათლეს და ან გააციმბირეს, ან ადგილზევე მოკლეს. უზარმაზარ იმპერიაში კოლექტივიზაციის პერიოდში ათეული მილიონობით უდანაშაულო ადამიანის სისხლი შესვეს!..

რა შედეგი მოჰყვა ამ გაუგონარ ბარბაროსობას?

გლეხს მიწა შეაზიზღეს და იგი ფლიდ, მზაკვარ და ზარმაც ადამიანად აქციეს.

მანამდე კი საზოგადოებრივმა საკუთრებამ საბჭოეთში ისე დააბეჩავა ხალხი, რომ შიმშილისგან ძლივს დაღლასლასებდა, რაც თვით კომუნისტებსაც აღარ აწყობდათ და ეგრეთწოდებული ნეპი გამოიგონეს (ანუ ისევ კერძო საკუთრება, მაგრამ კერძო საკუთრებას რა გამოგონება სჭირდებოდა!), ცოტა სული მოითქვეს და შემდეგ ძალდატანებით კოლექტივიზაცია წამოიწყეს, ისევ საზოგადოებრივი საკუთრება გამოაცხადეს ყოველგვარი სიკეთის მომტანად და ამას ისევ უსაშინლესი შიმშილობა მოჰყვა მთელ საბჭოეთში. ლუკმა-პურის საშოვნელად უზარმაზარი მასები ქვეყნიდან ქვეყანაში დაეხეტებოდნენ. რუსეთიდან და უკრაინიდანაც (პურის ბეღელს რომ უწოდებდნენ) ასეთმა ტალღამ ჩვენშიაც შემოაღწია იმ წლებში, თითქოს აქ, საქართველოში, ხვავი და ბარაქა ყელში ამოსდიოდათ... დამშეულ მასებს რომ არ ეწანწალათ, ჩეკისტებმა ასეთ გამოსავალს მიაგნეს – სოფლებს ალყას შემოარტყამდნენ და მოსახლეობა შიმშილისგან უხმაუროდ იხოცებოდა! ვინც ალყიდან გამოსვლას გაბედავდა, მას იქვე ხვრეტდნენ! (ეს ვ.გროსმანის მემუარებითაც დასტურდება).

ჩვენში ზოგიერთებს დღემდე ჰგონიათ, რომ რეპრესიებს კამპანიური ხასიათი ჰქონდა. ესეც მტკნარი სიცრუეა. რეპრესიები მიმდინარეობდა ყოველწლიურად მთელ იმპერიაში განუწყვეტლივ, ოღონდ, ზოგჯერ დიდი და ზოგჯერ მცირე მასშტაბით. და ეს გამომდინარეობდა თვით სისტემის ბუნებიდან. სხვაგვარად მას არსებობის გახანგრძლივება არ შეეძლო, რადგან არავითარი დასაყრდენი არ გააჩნდა ხალხის გულში.

კომუნისტების ნამოღვაწარის უბრალო ჩამოთვლაც საკმარისია იმის ნათელსაყოფად, თუ რა მოუტანა იმ რეჟიმმა საქართველოს.

ჰიტლერთან ომის დაწყებისას ჩვენ დაახლოებით ორმილიონ ნახევარი ვიქნებოდით.

აქედან ფრონტზე გარეკეს 700000, შვიდასი ათასი ქართველი!

მსგავსი ტრაგედია, ალბათ, არც ერთ ერს არ გადაუტანია!

ვის ჩაუდენია ასეთი არაადამიანობა დედამიწაზე!

არავის!

გაგრძელება. დასაწ. იხ. „საქართველო“ №3

გაგრძელება მერვე გვერდზე

ინფორმაცია

## უშიშროების სამინისტრომ მოკვლევა დაიწყო

საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტრომ გაავრცელა განცხადება, რომელშიც ნათქვამია:

„გაზეთ „ალიას“ მიმდინარე წლის ერთ-ერთ ნომერში გამოქვეყნებული იქნა პარლამენტარ გოჩა ნათენაძის ინტერვიუ – „აგენტზე ინფორმაციას ვფლობ და დადასტურებაც შემიძლია“, რომელშიც ლაპარაკია სახელმწიფოს უშიშროების სამინისტროს სამცხე-ჯავახეთის რეგიონალური სამმართველოს ზოგიერთ თანამშრომელზე, რომლებიც თითქოს მოქმედებენ რუსეთის სპეცსამსახურების დავალებით და ეწევიან ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ მიმართულ ძირგამომთხრელ საქმიანობას. აღნიშნულ და სხვა ანალოგიურ ფაქტებთან დაკავშირებით სახელმწიფო უშიშროების სამინისტრომ დაიწყო კანონით დადგენილი წესის მოკვლევა. (გეა)

## „თუ ხელისუფლება ასე გააგრძელებს – დავუპირისპირდებით“

მიმდინარე პოლიტიკურ საკითხებს მიეძღვნა პრესკონფერენცია, რომელიც საპარლამენტო ფრაქცია „სახალხოს“ თავმჯდომარემ, მამუკა გიორგაძემ გამართა.

მან ორ ძირითად მომენტზე გაამახვილა ყურადღება: ერთი – სახელმწიფოში არსებული კორუფცია და მასთან ბრძოლა. პარლამენტარის თქმით, როგორც კი ფრაქციამ ამ მიმართულებით გადადგა მკვეთრი ნაბიჯი, ხელისუფლებამ მათი ფრაქცია ბიზნესის განვითარებასთან ბრძოლაში დაადანაშაულა. იგივე მოხდა ეროვნულ ბანკთან დაკავშირებით.

მეორე – ქვემო ქართლში ბოლო დროს განვითარებული მოვლენები და ისევ ხელისუფლების მცდელობა, ფრაქციის ლიდერები ქვეყანაში ეთნიკური დაპირისპირების გამწვავებაში დაედანაშაულებინათ.

„თუ ხელისუფლება ამ ფორმით გააგრძელებს ქვეყნის მართვას, ჩვენ მას დავუპირისპირდებით“ – აცხადებს მამუკა გიორგაძე.

რაც შეეხება მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებს, სახალხო პარტია საკუთარი კანდიდატურის წარდგენას აპირებს, თუმცა, კანდიდატის ვინაობა არ დასახელებულა. (გეა)

## „იტოჩუ“ სუფსაში ახალ ნავთობგადამამუშავებელ ქარხანას ააშენებს

საქართველოს მთავრობამ და იაპონურმა კორპორაციამ „იტოჩუმ“ ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, რომლის თანახმადაც „იტოჩუ“ სუფსაში ახალ ნავთობგადამამუშავებელ ქარხანას ააშენებს.

როგორც „იფრინდა“-სათვის სახ.კანცელარიასთან არსებული ეკონომიკური რეფორმების საინფორმაციო ცენტრიდან გახდა ცნობილი, ახალი ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის მშენებლობა გააადვილებს შავი ზღვიდან ბოსფორში მზარდი ნავთობის ტრანსპორტირებას. საწარმო პირველ ეტაპზე 3 მმტ პირველად ნავთობს და დიზელს გადაამუშავებს. მეორე ეტაპზე ამას დაემატება გაზოლინის, ნავთისა და სხვა პროდუქტების წარმოება. ქარხანა ექსპორტზე იქნება ორიენტირებული. მის მიერ გამოშვებული მთლიანი პროდუქციის შესყიდვაზე თურქეთმა უკვე განაცხადა თანხმობა. (იფრინდა)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მწერლობა

# კარდუ

## ანუ გრიგოლ რობაქიძის ცხოვრება და ღვაწლი

**აკაკი ბაქრაძე**

გრიგოლ რობაქიძე ქართულ ყოფაში დიონისურ ლხენას ხედავდა.

*„ღმერთმა მიაყარა მადლი საქართველოს.*
*მკერდი არ უშრება მიწას უთვალოსა.*
*უხვი მზე გამოდის ხალისით სართველოს:*
*ბულრაობს მწვანეზე და მართავს კალოსა.*
*მუხას გადაგრაგნილს და მაგარ წვივიანს*
*ხურო ეგრიხება ლურჯი არტახებით.*
*გადათქვირებული რკოები ცვივიან*
*და ეშვებს ლესავენ ველური ტახები.*
*. . .*
*რკო მრუში. მტევანი. ტარო დაყურსული.*
*ალო ატეხილი და თესლი ხურვილი.*
*ვერვინ დაიურვოს ხარი გალურსული*
*მთელ წყაროს ამოცლის რომ არი წყურვილი.*
*. . .*
*ჩვენც დასიცხულები მათთან დავნელდებით:*
*სახვენათ გველიან ძელური კედლები.*
*ვაჟები. ქალები. შვილები. მამები.*
*დედავ: ჩავეხვევით უბეში კვართული.*
*და ძილში მალულად ფიქრი გვეამება:*
*რომ არ გაგვიმეტებს ჩვენ მიწა ქართული“.*

(„მიწის სჯული“)

ქართული მიწა კარდუს მიწაა. კარდუს კი გულზე მზის ნიშანი აქვს („გველის პერანგი“). მიწა ქალური საწყისია, მზე – ვაჟური გრიგოლ რობაქიძესთან. ისინი ანაყოფიერებენ ერთმანეთს. ნაყოფში, ჭირნახულში მზის თვალი ტრიალებს.

*„შავი საწნახელი ვეშაპათ როფილი.*
*მტევნების ტევრები მთელი და სრესილი.*
*სურვილის ტბორით დამთვრალი პროფილი.*
*წვივები მწურავის წითურ შეგლესილი.*
*. . .*
*ფერები გარბიან სარზე სარიდან.*
*ვაჟები მღერიან ოდელა დილანოს.*
*გვიახლოვდები რომელი მხარიდან:*
*ევოი დიანოს: ევოი დიანოს“*

(„რთველი“)

შეძახილი ევოი, ევოი ისმის ლექსშიც „ჰიმნი ორფეოსს“. იგი გერმანულად არის დაწერილი 1949 წელს და ეძღვნება ავტორის მეგობრებს – ჰანს ჰასო ფონ ველტჰაიმს, ლეოპოლდ ციგლერს, ბრუნო გოეტცს. მართალია, ჰიმნი ორფეოსს ეკუთვნის, მაგრამ ამ შეძახილით დიონისეც გვახსენდება. ბერძნული „ევოი“-ს გვერდით, ქართულ მისამღერსაც – „ჰარალე, ჰარიჰარალეს“ და „ოდელია დელას“ – იყენებს გრიგოლ რობაქიძე. ცხადია, მისებურად ოდნავ შეცვლილს – „Arraluu iiarraal“, „Odillar idallaa“. ამით ერთმანეთს უკავშირებს ორ ძველ სამყაროს – ბერძნულს და ქართულს.

ორფეოსი მღერის. ყველაფერს ეფინება მისი სიმღერა. ყველა თვრება ამ სიმღერით. იგი სავსეა მზით. ყველაფერი მოძრაობს და ორფეოსთან ერთად გალობს. ლექსში ჩნდება გველი და არწივი (მარადიული დაბრუნების სიმბოლოები). არწივს მზისკენ მიაქვს ორფეოსის სიმღერა. უხსენებელი მისჩერებია მზეს. ტყე შრიალებს. წყარონი ჩუხჩუხებენ. სიმღერა ჩქეფს, ვით ცხელი სისხლი. სითბოთი ავსებს აჩრდილებს. ორფეოსი მღერის. ზეიმობს დაბადებას.

მაგრამ, ვაი! იგი კვდება. სიმღერა წყდება. ყველაფერი ქვავდება. სევდა ისადგურებს. ამ დუმილში არწივი იჭერს ორფეოსის სუნთქვას. ჩვენსკენ მოფრინავს უკან. გვატყობინებს მზის შემონათვალს: ორფეოსი მოდის. მოდის კიდევ ერთხელ.

ავტორის სურვილიც ეს არის.

დაბადება და სიკვდილი უწყვეტად ენაცვლებიან ერთმანეთს არსებობის მარადიულ წრებრუნვაში.

*„უფალო, ოი, მშვიდო, ლალო,*
*მაღალო, წყნარო,*
*ჩაეშვი ჩემი სულის თასში, ვით გრილი წყარო,*
*იხსნება შენთვის გული ჩემი, სათუთი ნელი. –*
*ვეწაფვი ფიცხი შენი სუნთქვის მათრობელ ალსა,*
*ნეტარობს შენით ჩემი კრთომის ყოველი წნელი,*
*გიცქერი მზე-გრძელს, ერთი წამით დავხუჭავ თვალსა“*

(„სონეტი ლოცვას“)

გრიგოლ რობაქიძის პოეზიაში არის სიცოცხლის სიხარულიც და სიკვდილის სევდაც. არის ტკივილიც, მოგვრილი ჭაობით, ხავსით, ბნელით, სპლინით, ჩამოხრჩობილი ვიოლინოს და ცხენის გამხმარი თავით, ლორწოთი, სიდამპლით, შმორით, ობობათი, უდაბნოს ხვატით, კოშმარებით. არის ლხენა-ზეიმიც, გამოწვეული სიყვარულით, ტრფობით, ჭირნახულით, რთველით, შრომით, ვაჟურობით, ქალურობით, მზით, სითბოთი, ლოცვით, ფიქრით, აზრით, სიმღერით, ცეკვით, ვაზით, ღვინით. სხვაგვარად მას არ შეეძლო, რადგან ორივე მხარის ერთიანობაში წარმოდგენა არის მისი შემოქმედების მიზანი. ამის არ ეშინოდა, რაკი სჯეროდა, რომ „ხალიბის სხეულს ნალად აჩნევია, ყოველი კუნთი რომ არის მზენაკრავი“ („ირრუბაქიძე“).



გაგრძელება შემდეგ ნომერში

გაგრძელება. დასაწ. იხ. „საქართველო“ №109-119 1997წ, №1-3

# წარსულის ფურცლები

# რუსეთის იმპერიული პოლიტიკა საქართველოში

## 1850-1905 წლების პრესის მასალების მიხედვით

იმპერიული რუსეთის მიერ გატარებული პოლიტიკური კურსის წყალობით მე-19 ს-ის 20-იანი წლებიდან საქართველო გადაიქცა დემოგრაფიულად აჭრელებულ ქვეყნად, სადაც სხვადასხვა ეროვნების ხალხი ერთმანეთში ირეოდა. მასიურად ასახლებდნენ სომხებს, რუსებს, გერმანელებს, ესტონელებს, ბერძნებს და სხვა ტომის ხალხებს. ქართველი კაცი იძულებით მიაჩვიეს არასასურველთა მასპინძლობას, რომლის დროსაც მოძმესაც ავიწყებინებდნენ და საკუთარ გასაჭირსაც. მთავრობის მთელი აპარატი, უმეტესი დაწესებულება და მთავრობის მოხელეთა დიდი ნაწილი დასაქმებული იყო ამ ჩასახლება-გასახლების საქმით და არაა გასაკვირი, თუ ამ თავსმოხვეულ და, შეიძლება ითქვას, წლების მანძილზე ვაისტუმართა მიღება და მათზე ზრუნვა ლამის უკვე ტრადიციად ექცა ქართველს. რას ვიზამთ, დრო მსხვერპლს ითხოვდა...

ბიუროკრატიული მთავრობა ქართველებზე საერთოდ არ ზრუნავდა. საშინლად შევიწროებულ ადგილობრივ მკვიდრთა გულისტკივილი და ჩივილი არავის ესმოდა. მოწინავე ინტელიგენცია ხელებშეკრული იყო, გასაქანი არ ჰქონდა, თავისი დაჩაგრული ერის კეთილდღეობისათვის ეზრუნა. ფაქტია, ქართველთა საზიანოდ და ჩამოსახლებულ ყველა სხვა ეროვნების ხალხთა საბედნიეროდ, რუსეთის მთავრობის დიპლომატიური ქცევის შედეგად არც ერთი უცხო ტომის წარმომადგენელი არ იყო ისე დაჩაგრული და შევიწროებული, როგორც ადგილობრივ მკვიდრთა დიდი უმრავლესობა.

ბერძნები საქართველოში გამოჩნდნენ 1830-იან წლებში, როცა რუსეთ-ოსმალეთს შორის ზავი დაიდო და რუსის ჯარს ოსმალეთიდან გამოჰყვა დიდძალი სომხობა, მათ თან აედევნენ გაჭირვებაში მყოფი ბერძნებიც. საცხოვრებლად ისინი დანაწილდნენ წალკის რაიონის 24 სოფელში, ახალქალაქის მაზრასა და ერევნის გუბერნიაში. მათი რაოდენობა 20000 იყო. საქართველოში დასახლებული ბერძნების მხოლოდ მცირე რაოდენობამ იცოდა ბერძნული, დანარჩენი ოსმალურად ლაპარაკობდა. გარეგნული იერით, ჩაცმულობით და ზნე-ჩვეულებებით არ გამოირჩეოდნენ ოსმალოსაგან. („მოამბე“, 1899, 4).

მთავრობის მზრუნველობასა და მეზობელთა თანადგომაში გავიდა ხანი. ბერძნებს გაუჩნდათ თითოოროლა ნასწავლი „ინტელიგენტი“, რომლებმაც სასულიერო სასწავლებლების და სემინარიის კურსდამთავრებულების და სამღვდელოების დახმარებით მოიწადინეს, სასოფლო სკოლების მეშვეობით აღედგინათ და მოძმეთათვის ესწავლებინათ მშობლიური ბერძნული ენა. 1902 წლისთვის უკვე მომძლავრებულმა ბერძენთა კოლექტივმა ბორჩალოს მაზრის სოფ.რეხას ქართველობა დიდ გასაჭირში ჩააგდო. ბერძნებმა, სარგებლობდნენ რა რუსი მოხელეებისაგან მინიჭებული თავისუფლებით და უფლებებით, მოინდომეს დაჩაგრული ქართველების დამორჩილება. ნაწილობრივ მიაღწიეს კიდეც მიზანს, გავლენის ქვეშ მოაქციეს სოფლელთა ერთი ჯგუფი, გვერდში ამოიყენეს და თავიანთი ინტერესების დამცველად და მხარდამჭერად აქციეს. ამ დამორჩილებულმა ქართველებმა ბერძნების ერთგულებით ქართული ენა თითქმის მიივიწყეს. ისეთი სიტუაცია შეიქნა, რომ ოჯახში მამა ქართველობდა, შვილი კი ბერძნების პოზიციას ამაგრებდა. ქართველებმა ეკლესიაში ქართველი მღვდელი მოითხოვეს, ბერძნებმა – ბერძენი მღვდელი. სამარცხვინო ის იყო, რომ ბერძნების დავალებით ამ პრეტენზიას თვით ქართველები აცხადებდნენ, რომლებიც ბერძენთა სურვილის მხარდამჭერად გამოვიდნენ. ასეთი ოჯახები იყო: მურმანიშვილების, საბაძეების, ვახტანგიშვილების, დალბანდიშვილების, ზანდარაშვილების და სხვ. მათ ბერძენი მღვდელი მიიმხრეს და ეკლესიაში წირვის ნებართვა ითხოვეს. („ივერია“, 1902, 192).

ქართველი ინტელიგენციის ერთი ნაწილი, რომელიც რუსეთის სამსახურში იყო ჩამდგარი და გაორებული გრძნობით, იდეოლოგიით ცხოვრობდა და მოღვაწეობდა, ეკონომიურად რუსეთის ხელის შემყურე, ყოვლისშემძლე მთავრობის ძალას თვითნებურად ექვემდებარებოდა, ეს ნაწილი ცდილობდა არ შეევიწროებინა უცხო ტომის ხალხი. მოილაპარაკეს და გადაწყვიტეს, მოეწყოთ ბერძენი დეპუტატების საზოგადო კრება, რომელზედაც იმსჯელებდნენ ბერძენთა საჭიროებაზე (?) (ქართველთა საჭიროების საკითხი მათთვის არ არსებობდა). თბილისის გადმოსახლებულთა საზოგადოების 2 მარტის სხდომაზე პ.შერვაშიძემ თავისი სიტყვის დასკვნით ნაწილში აღნიშნა – ნუ შევავიწროებთ ბერძნებს და სომხებს, იძულებულს ნუ გავხდით საქართველო დატოვონ, მივცეთ უფლება კერძო მემამულეთაგან იჯარით აიღონ მიწებიო. („ცნ.ფურცელი“, 1905, 2303).

იქნებ, ქართველთა ასეთი გულითადი სტუმართმოყვარეობა, (ჩვენთვის დამღუპველი) ცუდად გაგებული ინტერნაციონალური პრინციპებით ხელმძღვანელობა და განუსჯელი გადაწყვეტილებები გახდა მიზეზი (სხვა უბედურებასთან ერთად) საქართველოს დემოგრაფიული კრიზისისა, რაშიაც იმყოფებოდა იგი მთელი მე-19 ს-ის მანძილზე და როგორ კრიზისულ სიტუაციაში არის თუნდაც დღეს.

რაც შეეხება აისორებს, არც ისინი დააკლდნენ საქართველოს პეიზაჟს. 1894 წელს ურმიაში მოხდა აჯანყება, რომლის დროსაც გამხეცებულმა სეიდებმა მრავალი უდანაშაულო აისორი დახოცეს. საჭირო იყო მათი შველა. რუსეთში ნაცხოვრებმა, საქართველოში ნამუშევარმა ცნობილმა კალატოზმა სარქის გორგოზოვმა – პრესის ცნობით – თავის ხარჯით რამდენჯერმე იმოგზაურა ურმიაში. დიდი აგიტაციის შედეგად დაარწმუნა აისორები რუსეთის იმპერატორის ჰუმანურობასა და მართლმადიდებლური ეკლესიის მსახურთა მწყალობლურ დამოკიდებულებაში სხვა ეროვნების ხალხისადმი და მიაღწია მიზანს. იგი იმდენად ჩაერთო ხალხის საქართველოში ჩამოყვანის საქმეში, რომ როცა სხვებს აცილებდა, საკუთარი ოჯახის წამოსაყვანად ვერ მოიცალა. ურმიაში მეორედ დაბრუნებულს მთავრობამ შარი მოსდო და გარკვეული თანხა მოითხოვა. სამწუხაროდ, გორგოზოვს არავითარი საშუალება არ აღმოაჩნდა, ცოლ-შვილი დაეხსნა. ამაზე წერდა

გაგრძელება მეექვსე გვერდზე

# წარსულის ფურცლები

# რუსეთის იმპერიული პოლიტიკა საქართველოში

მეხუთე გვერდიდან

გაზ. „ცნ.ფურცელი“ (1899, 919) – „სხვისი მაზიარებელი მღვდელი, თვითონ უზიარებელი დარჩაო“.

სკაპცები და დუხობორები ხელმწიფე-იმპერატორის ბრძანებით, როგორც მწვალებლები, „დამღუპველ კავკასიაში“ იქნენ გადასახლებული. 1830, 40-50-იან წლებშიც დუხობორები დასებად იგზავნებოდნენ საქართველოში. დასახლდნენ ზემო ქართლში მაღალ ადგილებში, ცივ და მკაცრ კლიმატურ პირობებში, რამაც ისინი დაღუპვას გადაარჩინა. 1878 წლის ცნობით ახალქალაქსა და მის ახლო-მახლო მრავალი დუხობორი სახლობდა. 1890-იან წლებში დუხობორების ნაწილი კანადაში გადასახლდა, 1902 წელს საქართველომ მიიღო ახალი პარტია დუხობორებისა, რომელნიც დასახლდნენ ახალქალაქის მაზრაში. 1905 წელს მათი რამდენიმე საზოგადოება კვლავ კანადაში გადასახლდა. დარჩენილთა დიდი რაოდენობაც ემზადებოდა გასამგზავრებლად. – იუწყებოდა გაზ. „ცნ.ფურცელი“ (1905, 2791). იმ მცირე ნაწილის (რომელიც საქართველოში დარჩა) შთამომავალნი დღესაც მშვენივრად გრძნობენ თავს სკაპცებს დასასახლებლად იმერეთი ერგოთ.

ჩასახლება-გადმოსახლების ასეთი ციებ-ცხელების დროს ლეკებმაც წამოყვეს თავი. 200 კომლმა დატოვა დაღესტანი, უღალატა სახელოვან შამილს, გადმოვიდა კახეთში და რუსის ჯარის გზის მაჩვენებლად და ამბის მიმტან-მომტანად იქცა. ხშირად ორივე მხარეს ღალატობდნენ და ორივე მხრიდან ჯილდოებს იღებდნენ. გავიდა ხანი. ქართველ ოჯახთა რაოდენობა გაიზარდა, მიწის ნაკლებობა საგრძნობი გახდა. ლეკებს ოჯახზე თუ 10 დესმიწა ჰქონდათ მოზომილი, უუფლებო ქართველები 2-3 დესფლობდნენ. გათავხედებული ლეკები ქართველთა საძოვრებს შეესიენ. სოფლის მოსახლეობამ იჩივლა. 1867 წელს მთავრობის კომისიამ ისინი მოარიგა და მათი ადგილები გამიჯნა. ლეკები რის ლეკები იქნებოდნენ, თუ კანონს და სამართალს დაემორჩილებოდნენ. გარკვეული დროის გასვლის შემდეგ დადგენილებას გადაუხვიეს და საერთო საძოვარ ადგილებში სახლის შენება და მიწის ხვნა დაიწყეს. სოფელი კვლავ აბობოქრდა, დახმარებისათვის მთავრობას მიმართა: „ან ცალ მხარეს დაასახლეთ ლეკები ან, თუ შესაძლებელია, აეკრძალოს მათ გავაზის მიდამოებში ჩამოსვლა, რადგან მათ დაღესტანში აქვთ საკომლო ადგილები და ზამთრობით ჩამოსვლა მხოლოდ მიზეზია ქურდობით და ავკაცობით თავის რჩენისაო“. ახლა მეორე კომისიამ გამოიძია ყველაფერი – წერდა გაზ. „ივერია“ – დადგენილება კი ჯერ არავინ იცისო.

ასლიერით ჰგავს ეს ყოველივე ჩვენს დღევანდელობას. რუსი, სომეხი, ბერძენი, თათარი თუ ნებისმიერი უცხო ტომის ხალხი გაცილებით უკეთ ცხოვრობს საქართველოში, ვიდრე ქართველ მშრომელთა დიდი რაოდენობა.

როცა ეროვნული მთავრობა გვყავდა, თანდათანობით ყველაფერი თავის ადგილს პოულობდა. ადგილობრივ მკვიდრთა დიდზე დიდი ნაწილის ეროვნული თავმოყვარეობა დაკმაყოფილებული იყო, სიამაყის გრძნობა გაუჩნდათ, ფსიქოლოგიურად მშვიდდებოდნენ. უცხო ტომის ხალხი ქართულ ენას სწავლობდა, თუ არა და საქართველოს ტოვებდა. იფილტრებოდა საქართველოს მოსახლეობა.

დღევანდელმა „დემოკრატიულმა“ მთავრობამ სისხლისა და სიძულვილის მეტი არაფერი მოიტანა. ქვეყანა აირია და დაეცა მორალურად. ქართველობა აღარ გვეამაყება, პირიქით, გერცხვენია, რომ ჩვენც ქართველები ვართ. მცირე ერებმა ისევ წამოყვეს თავი. მორალურად და ეკონომიურად მომძლავრებულებმა ყველაფერი მოითხოვეს, ზოგმა პრეზიდენტობა ირჩია, ზოგი მონასტრებს იჩემებს, ზოგი ტერიტორიას და ზოგი ვინ იცის რას.

საქართველოს დემოგრაფიულად აჭრელების პარალელურად, იმპერიის ვერაგული, შორს გამიზნული პოლიტიკა ქართველთა რეალური რაოდენობის მკვეთრ შემცირებასაც ისახავდა მიზნად. რა მეთოდებით ახორციელებდა იგი ამ „ჰუმანურ“ ჩანაფიქრს, ეს მისი საქმიანობიდანაც ნათლად ჩანს.

როცა რუსეთმა მკვიდრად მოიდგა ფეხი საქართველოში, მისმა ყოვლისშემძლე ბიუროკრატიამ შექმნა აზრი, რომელიც მოეფინა მთელ იმპერიას და სახელმძღვანელო აზრად იქცა: „ქართველები ისე მტკიცე მართლმადიდებელნი იყვნენ, რომ შეუძლებელია მათ შორის სხვა სარწმუნოების მქონე მოიპოვებოდეს ვინმე. ამის გამო, ვინც მართლმადიდებელი არ არის, ის არც ქართველიაო“. ამ შორს გამიზნულ ტყუილს და მათთვის მომგებიან „აღმოჩენას“ „მოაწერეს ხელი, დაბეჭდეს“ და დამთავრდა ამით საქმე – წერდა „ცნ.ფურცელი“ (1905, 2760). ამ უსაფუძვლო დებულებას (დასკვნას) ქართველთათვის ფრიად სამწუხარო, ხოლო რუსთათვის სასურველი შედეგი მოჰყვა. ამით მრავალი მაჰმადიანი ქართველი ჩამოაშორეს საქართველოს. უარი უთხრეს ქართველობაზე. ასევე არ ჩარიცხეს ქართველთა რიცხვში ახალციხესა და რაიონებში მცხოვრები კათოლიკენი, რადგან თქვენ სომხის ტიბიკონისა ხართო.

პასკევიჩმა რომ ახალციხე აიღო, ქართველი მაჰმადიანები მან ოფიციალურად თათრებად გამოაცხადა და თანამდებობებზე ისეთი პირები დაანიშნინა, ვინც რუსულის გარდა მხოლოდ თათრული ენა იცოდა. ასეთ რეგიონებში სახელმწიფო ენად რუსული გამოცხადდა, ხოლო სახმარ ენად – თათრული. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს ხდება მე-19 ს-ის 20-იან წლებში და კანონობდა იგი მთელი 80 წლის მანძილზე. ადვილი წარმოსადგენია, რამდენს დაღუპავდა ამ მცდარი გაბატონებული აზრის მოშველიებით წარმოებული „სამართალი“. ამის დასტური სახეზეა. 1901 წელსაც ბათუმ-ართვინის მხარეს სახელმწიფო რუსული ენის გვერდით სახმარ ენად თათრული იქნა მიღებული. თანამდებობებზე დანიშვნის პირობებიც იგივე დადგინდა. გაზ. „დროება“ საგანგაშო ზარებს რეკდა. მივხედოთ ბათუმ-ართვინის მხარეს, ქართულ ენას მოვუაროთ, თორემ გაივლის 20-30 წელი და სრულიად მოისპობა შ.რუსთაველის ენა“... და გათათრდებიანო, ასეც მოხდა. თათრებს რა უყვეს? ჩერქეზეთის დაპყრობის შემდეგ, რუსეთის მთავრობამ სტრატეგიული მოსაზრებით გადაასახლა ჩერქეზები და აფხაზები სოხუმის, ბიჭვინთის, გაგრის და სხვა ხეობებიდან. თუ მანამდე აფხაზეთში 0,5 მლნ. მცხოვრები იყო, დღეს 1902 წლისთვის, მათი რაოდენობა 40000 ვერ აცილებიაო, – წერდა „პეტ.ვედომოსტი“ (1902, 206) და დასძენდა: „მიზანი ის იყო, რომ რუსები უნდა ჩაესახლებინათ იქო“. მთავრობა სხვადასხვა მეთოდით (აუტანელი სიდიდის გადასახადით დაბეგვრა, უმიწოდ დარჩენა, ხელოვნურად შექმნილი გამოუვალი მდგომარეობის შექმნა, უსამართლოდ მოქცევა და მათი ინტერესების აბსოლუტური იგნორირება და უყურადღებობა – აიძულებდა ადგილობრივ ხალხს უცხო მხარეს გადასახლებულიყო. ასეთი მასალებით მდიდარია იმდროინდელი ქართული და რუსული პრესაც.

როცა 1879 წელს ბათუმისა და ართვინის მაზრის შემოერთების დროს სასოწარკვეთილი ქართველი მუსულმანები ზემო და ქვემო აჭარის ორი სოფლიდან (სულ 773 ოჯახი) ოსმალეთში გადასახლდა და მსურველებიც ბევრი ემზადებოდა...

როცა 1880 წელს 1 ივნისს ბათუმის მაზრიდან რუსეთის გემით გაემგზავრა ოსმალეთში მთელი ორი სოფელი...

როცა „პეტვედომოსტის“ ცნობით ყარსის მაზრიდან 50000 და ბათუმის მხრიდან 7000 სული ქართველი მაჰმადიანი, შუა აზიაში გადასახლებულნი, ცუდ პირობებში ჩავარდნილნი უკან დაბრუნებას ითხოვდნენ, მთავრობას უარი განუცხადებია – ადგილები არ გვაქვს, თქვენ ყოფილ მამულებში უკვე რუსები სახლდებიანო.

და როცა ოსმალეთში თავისი ნებით გადასახლებულ და ცუდ პირობებში მოხვედრილ 1000 ქრისტიან აფხაზს უკან დაბრუნება განუზრახავს, პაპანაქება სიცხეში ბათუმში გემზე მზის ქვეშ დაყრილებისათვის (10 დღის განმავლობაში რომ 92 კაცი დაიღუპა) იმავე მიზეზით მთავრობას უარი განუცხადებია...

ვერც დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის დამამშვიდებელ სიტყვებს შეუჩერებია გადასახლების მსურველნი, რომელთა რიცხვში ართვინის გუბერნიაში მცხოვრები 200 ქრისტიანიც ერია...

რა შეიძლება ეწოდოს ამას!?

რა და, ის, რომ ამ ხალხის მასიურმა მოძრაობამ პროტესტის სახე მიიღო. თითქოს რუსეთის კოლონიურ პოლიტიკას წინ აღუდგა აჭარის მოსახლეობა. ასეც იყო. ბათუმის სამხედრო გუბერნატორი უმაღლესი მთავრობის განკარგულებით ამშვიდებს ხალხს: თუ სამშობლოს არ დატოვებთ, ყოველგვარ დახმარებას აღმოგიჩენთ – მდგომარეობას გაგიუმჯობესებთ, რჯულის, სარწმუნოების, ქალების ხელუხლებლობას გპირდებითო და სხვა მრავალი. ამით მთავრობა სამართლიანი ხელისუფლების სახელს იხვეჭდა. მაგრამ ამაოდ... მათი არც ქართველებს სჯეროდათ და არც თვით რუსებს. გაზ. „გოლოსი“ სამართლიანად აღნიშნავდა იმ სერიოზული მიზეზების სიმრავლეს, რაც აიძულებდა ხალხს ოსმალეთში გადასახლებულიყო. რეალურად რუსეთის მთავრობა არავითარ ინიციატივას არ იჩენდა, ყოველივე ამისათვის ანალიზი გაეკეთებინა და სათანადო ღონისძიება გაეტარებინა. სამშობლოდან გადახვეწის ტენდენცია გრძელდებოდა. 1903 წლის „ივერია“ (95) აცხადებდა: „ახალციხის ქართველმა მაჰმადიანებმა გადაწყვიტეს ოსმალეთში გადასახლება, ნახევარფასად ყიდიან კარ-მიდამოს“... გაზეთი მოუწოდებდა ქართველ გლეხებს, იქნებ მათ მოეხერხებინათ შეესყიდათ ქართველების მამული.

„ცნ.ფურცლის“ კორესპონდენტი ზ-ია უსიამოვნო ინფორმაციას აწვდის მკითხველებს მესხეთის და ჯავახეთის ზოგიერთი სოფლის უპერსპექტივო ცხოვრებაზე. ხიზაბავრელებს, ვერგაველებს და უდელებს მიწა არ ჰყოფნით. 60 წლის წინ რაც 40 კომლს მიწა ჰქონდა, დღესაც იმით სარგებლობს ახლა უკვე 200 კომლიო. მაგრამ უფრო მეტი საწუხარი ის გახდომიათ, რომ უმიწობის გამო არტაანისაკენ ადრე გადასახლებული ოჯახები თათრებში არეულან, გათქვეფილან და ენაც მათი უსწავლიათ, ასე რომ ქართველობა ნელ-ნელა გადაგვარების გზას ადგას, ტოვებს საკუთარ მამულს, უცხო ქვეყნებში ესახლება, ზოგი ოსი ხდება, ზოგი თათარი, ზოგი თურქი, სპარსელი და ვინ იცის კიდევ რაო.

ექიმი ტურიაშვილი „ივერიაში“ დაბეჭდილ წერილში გვიხსნის, თუ რატომ ივსება საქართველო უცხო ტომის ხალხით, ადგილობრივი მკვიდრი კი ჩრდილო კავკასიის რეგიონში ესახლება. მისი აზრით, ამ მოვლენას ორი მთავარი მიზეზი უწყობს ხელს. პირველ მიზეზად ასახელებს იმპერიული რუსეთის ძალისმიერ მოქმედებას – რომლის მიხედვით იგი აიძულებდა გლეხს დაეტოვებინა თავისი საცხოვრისი და სხვაგან წასულიყო. მეორე მიზეზად მიაჩნია სომხების ურთიერთ-სოლიდარობა, რასაც მდიდარი ვაჭრები იჩენდნენ ღარიბი თანამოძმეებისადმი. მაშინ, როცა ქართველი თავადაზნაურობის დიდი ნაწილი საერთოდ არ ფიქრობდა ხალხის დახმარებაზე და აღარც საქართველოს ბედ-იღბალზე. პრესაში უხვად მოიძევება მასალები რუსეთის მთავრობის უსამართლო მოქმედებაზე. ერთი მაგალითი: იყო ასეთი შემთხვევები – გლეხები იჯარით აღებულ მიწას გაწმენდნენ ეკალ-ბარდებისაგან, აიღებდნენ ახოებს, დაამუშავებდნენ, ბაღნარად აქცევდნენ მიდამოს, სადაც ერთ ან რამდენიმე ბედნიერ წელს გაატარებდნენ. მოულოდნელად დაესხმოდნენ თავს წვრილფეხა მოხელეები და მოითხოვდნენ საიჯარო მიწის გათავისუფლებას, აყრიდნენ, იქიდან რუსების ჩასახლების მოტივით. მათი საჩივარი წლების მანძილზე უპასუხოდ რჩებოდა.

ასევე საკმაო მასალაა პრესაში გაბნეული სომეხი ვაჭრების კეთილშობილურ საქციელზე. ზოგი მათგანი ქართველი მებატონისაგან ყიდულობდა დიდ ნაკვეთს. ყოფდა მას ნაწილებად და ზედ ასახლებდა ერევნის შიგა გუბერნიიდან ნაკლებმიწიან ან უმიწაწყლო გლეხებს – თქვენც იცხოვრეთ და მეც მასარგებლეთო.

ასეთია არასრული სურათი რუსეთის ბიუროკრატიული მთავრობის არაადამიანური პოლიტიკისა, რომელიც ხელს უწყობდა საქართველოში მის მიერ ჩასახლებულ უცხო ეროვნებს ხალხს ყველანაირად ესარგებლა საქართველოსაგან, გამოეწურა ხალხი, სხვადასხვა მაქინაციებით მიეღო მათი მიწები საკუთარ სარგებლობაში, მიეერთებინა ტერიტორიაც, თუნდაც ამისათვის ქართველთა დახოცვა გამხდარიყო საჭირო... ხალხს რას ვერჩით?..

მ. გაჩეჩილაძე

## საკოორდინაციო საბჭო – საკოორდინაციო საბჭოს წინააღმდეგ

„აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს საკოორდინაციო შტაბს არავითარი შეხება არა აქვს ლტოლვილთათვის განკუთვნილი ფულადი შემწეობა-თანხებისა და ჰუმანიტარული დახმარების გაცემა-განაწილებასთან“ – ნათქვამია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს საკოორდინაციო შტაბის განცხადებაში. იქვე აღნიშნულია, რომ ბოლო დროს გახშირდა აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან ლტოლვილ პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა ე.წ. „საკოორდინაციო საბჭოს“ მიერ აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის, მათ შორის ზემო სვანეთის და სამეგრელოს რეგიონების საკოორდინაციო საბჭოს მუშაობის უსაფუძვლო კრიტიკა.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ „ე.წ. „საკოორდინაციო საბჭოს“ წევრები ამტკიცებენ, რომ სამეგრელოს რეგიონში ადგილი ჰქონდა შემწეობის თანხების მითვისებას. „შესაბამისი ორგანოების წინაშე ხმამაღლა ვაცხადებთ, რომ დაწყებული 1994 წლიდან ჩვენ არაერთხელ დავსვით შემწეობის თანხებისა და ჰუმანიტარული დახმარების გაცემაში არსებული დამახინჯებების აღკვეთის საკითხი, სწორედ ამის გამო საქართველოს კონტროლის პალატამ, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურამ და შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოყო სპეციალური ბრიგადა, რომელიც დღემდე აგრძელებს მუშაობას და რომელმაც გამოავლინა ამ საქმეში არსებული ნაკლოვანებები. აღძრულია რამდენიმე სისხლის სამართლის საქმე და რამდენიმე პირი სასჯელსაც იხდის“ – აღნიშნულია განცხადებაში.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს საკოორდინაციო საბჭოს წევრთა აზრით, ე.წ. „საკოორდინაციო საბჭოს“ წევრები და მათი „გმირები“ დევნილთა დეზინფორმაციის მიზნით სამეგრელოს რეგიონში ჩადიან და დაუსაბუთებლად შემწეობის თანხების გაზრდას პირდებიან, უსაფუძვლოდ აკრიტიკებენ აფხაზეთის ლეგიტიმურ ხელისუფლებას და ამით დევნილებს დაბრუნების იმედს უკარგავენ, ხელს უწყობენ მათ გათიშვას და დაპირისპირებას ლეგიტიმური მთავრობისადმი.

როგორც განცხადებაშია ნათქვამი, „აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების საქმეში სასიკეთო ძვრების შენიშვნებისთანავე მაშინვე ამოქმედდებიან დესტრუქციული ძალები და პოზიტიურ ძვრებს ჩანასახშივე ახშობენ“.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს საკოორდინაციო შტაბი გმობს ე.წ. „საკოორდინაციო საბჭოს“ უსაფუძვლო და გამთიშველ მოქმედებამ და ყველა დევნილს შეკავშირებისკენ, გაერთიანებისა და სტაბილურობისკენ მოუწოდებს. (გეა)

# რას წერენ საქართველოს მტრები საქართველოზე?

*გაზეთ „საქართველოს“ მე-2-3 ნომრებში რუბრიკით „რას წერენ საქართველოს მტრები საქართველოზე“ გამოქვეყნდა ვინმე ლიანა ქვარჩელიას, ეროვნებით აფხაზის, სტატია „შეხედულება აფხაზეთიდან“.*

*დღეს ამავე რუბრიკით ვაქვეყნებთ ვინმე დოქტორ იანალ კაზანის სტატიას.*

*ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რას წერენ და როგორ გვებრძვიან ინფორმაციულად ისინი, რომელთაც დღემდე ძმობას ვეფიცებით.*

*საჭიროა მეცნიერული, არგუმენტირებული პასუხის მომზადება არა ჩვენთვის, არამედ უცხოელთათვის, ამ პასუხის ინგლისურ ენაზე თარგმნა და გამოცემა.*

*აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ვთხოვთ გამოეხმაუროს ან დამოუკიდებლად ახლა მაინც შექმნან ჯგუფი, რომელიც მუდმივად მხგავს საკითხებზე იმუშავებს.*

*„საქართველო“-ს რედაქცია*

# თანამედროვე აფხაზეთი

## დემოგრაფიები

დღეისათვის აფხაზეთის მოსახლეობა დაახლოებით 300.000-ია. მე-19 ს-ის შუახანებიდან, კავკასიასთან მიმართებით რუსეთის პოლიტიკამ აიძულა ადგილობრივი მცხოვრებნი გადასახლებულიყვნენ თურქეთში, შუა აღმოსავლეთში. სამაგიეროდ, აფხაზეთში დამკვიდრდნენ რუსები, სომხები და ქართველები. ეს პოლიტიკა გააგრძელეს ბოლშევიკებმა 1917 წლის რევოლუციის შემდეგ და მწვერვალს სტალინის ერაში მიაღწია. ამჟამად აფხაზეთში მუდმივად ცხოვრობს ასოცდათხუთმეტ ათასზე მეტი ეთნიკური აფხაზი (საერთო მოსახლეობა 300.000), მათში შერეული რუსებით, სომხებით, ქართველებით, ბერძნებით, მცირერიცხოვანი ებრაელებით.

## თანამედროვე აფხაზეთი

### პოლიტიკური სისტემა და მთავრობის კონსტიტუციური ფორმა

აფხაზეთის რესპუბლიკის პოლიტიკური სისტემა საბჭოთა კომუნისტურ ჯაჭვებზე იყო დამოკიდებული. აფხაზეთის პოლიტიკური სისტემა შეიცავს ყველაფერ საუკეთესოს, რაც არის საპრეზიდენტო და საპარლამენტო მმართველობაში, რადგან აფხაზეთს აქვს პარლამენტი და ჰყავს პრემიერ-მინისტრი, ისევე, როგორც პრეზიდენტი. ყველა პოლიტიკური თანამდებობა დემოკრატიულადაა არჩეული საყოველთაო არჩევნებით. დამატებით იქ არის დამოუკიდებელი იურიდიული სისტემა, რომელსაც აქვს უფლება განიხილოს პარლამენტისა და საპრეზიდენტო აქტები (ამას შეიცავს აფხაზეთის კონსტიტუცია, რომელიც დადგინდა სოხუმში, 1994 წლის 26 ნოემბერს).

### აფხაზეთის რესპუბლიკის სახელმწიფო თანამდებობები

რესპუბლიკის პრეზიდენტი – ვლადისლავ არძინბა

ვიცე-პრეზიდენტი – ვალერი არშბა

პარლამენტის სპიკერი – სოკრატ ჯინჯოლია

დეპუტატი სპიკერი (მოადგილე) – სტანისლავ ლაკობა

დეპუტატი სპიკერი (მოადგილე) – ალბერტ ტოპოლიანი

პრემიერ-მინისტრი – გენადი გაგულია

დეპუტატი პრემიერ-მინისტრი (მოადგილე) – ვლადიმირ მიქანბა

შინაგან საქმეთა მინისტრი – ალმასბი ხაში

თავდაცვის მინისტრი – ასტამურ თარბა

საგარეო საქმეთა მინისტრი – კონსტანტინე ოზგანი

ეკონომიკის მინისტრი – კონსტანტინე ტუშბა

ფინანსთა მინისტრი – ლილი ქნბა

იუსტიციის მინისტრი – ბატალ ტაბაღუა

სოფლის მეურნეობის მინისტრი – იური აკაბა

შრომისა და სოციალური დაცვის მინისტრი – ნიკოლოზ მისტაკოპულო

კულტურის მინისტრი – კუაზო კალიბა

ჯანდაცვის მინისტრი – აპოლონ გურგულია

განათლების მინისტრი – ბესლან დბარი

### სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეები

საბაჟო სამსახური – ასიან კობახია

გეოლოგია – პეტრე კაზანბა

ზომები და სტანდარტები – ნერსეს ნერსესიანი

### სახელმწიფო კომპანიები

კონსტრუქციები – ერიკ არშბა

კურორტები და ტურიზმი – გენადი აიბა

ენერგეტიკა – ხუტა ჯინჯოლია

ტრანსპორტი – ანატოლი პიმპია

კავშირგაბმულობა – ედუარდ ფილია

გემები – ზაურ არძინბა

საჰაერო ხაზები – ვიაჩესლავ ეშბა

გზები – ლეონიდ ლოლუა

ღვინის წარმოება – ვლადიმერ ანჩაბაძე

თამბაქო – ლეო შამბა

ტყე – ადოლფ შამბა

საწვავი – ანატოლი კაკუბავა

თევზის წარმოება – ლეონიდ არძინბა

ტელევიზია – გურამ ამკუაბი

რუსეთის ფედერაციაში – იგორა აქბა

თათრეთის რესპუბლიკაში – გიორგი სანგულია

ბაშკირეთის რესპუბლიკაში – ვლადიმა კოვე

ყაბარდო-ბალყარეთის რესპუბლიკაში – ვიაჩესლავ არძინბა

დასავლეთ ევროპაში – ვიაჩესლავ ჩირიკბა

აშშ – იანალ კაზან

თურქეთში – ვლადიმერ ავიძბა

### საბარჯიშოები დამაჯერებელ ტყუილში

#### (პასუხი)

ინტერნეტის ქართული პარლამენტის მონაკვეთი შეიცავს სტატიას სათაურით „რუსეთის როლი ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში“. იგი ცდილობს დახატოს საქართველოს მოქმედება აფხაზეთში 130-ზე მეტი წლის განმავლობაში ოტომანთა მიწებისაკენ ადგილობრივი აფხაზური მოსახლეობის გადასახლებამდე. ქვეტექსტი ის არის, რომ საქართველო – როგორც (საყოველთაოდ ცნობილი) ანტირუსული და ქრისტიანული ქვეყანა ისლამის ზღვაში – იმსახურებს დასავლეთის მხარდაჭერას. ამ თვალსაზრისით აფხაზები წარმოდგენილი არიან როგორც პრო-რუსები, რაც 1917-1991 წლებში უდრიდა პრო-ბოლშევიკს (და ამრიგად, ანტი-ქართველს და, უფრო თუ განვავრცობთ, ანტი-დასავლურს). მოვლენათა არსში გაურკვეველი მკითხველისათვის (და ასეთი იქნება უმეტესობა) საბუთები შეიძლება დამაჯერებელი აღმოჩნდეს. ჩვენ უნდა წარმოვაჩინოთ, რომ როგორც უმეტესი ნაწილი საქართველოდან წამოსული პროპაგანდისა (ვისაც სურს, შეუძლია ნებისმიერად შეანაცვლოს „შევარდნაძე“ „საქართველოს“), ეს შეხედულებანი ილუზიებია.

თუმცა გვებადება ასეთი კითხვა: თუ აფხაზებს ჰქონდათ მიზეზი მე-19 ს-ის დამლევიდან მოყოლებული, რომ მათი გადარჩენისა და კულტურულ-ეთნიკური არსობისათვის უდიდესი საფრთხე საქართველოდან მოდიოდა, ვისთვის შეეძლოთ მიემართათ დახმარებისათვის, რუსეთის გარდა (ასეა თუ არა)?

მაგრამ პირველ რიგში რაც უნდა აღინიშნოს, ის არის, რომ ქართული სტატია უყურადღებოდ ტოვებს იმას, რასაც მათი პროპაგანდის მანქანა დიდხანს გააფთრებით ცდილობდა უარეყო, სახელდობრ: საქართველო და აფხაზეთი ცოტა ხნის წინათ (1931 წელს, როცა ქართველმა სტალინმა აიძულა აფხაზეთი საქართველოს სსრ-ში ავტონომიური რესპუბლიკა გამხდარიყო) ურთიერთობდნენ, როგორც ორი დამოუკიდებელი ქვეყანა, იხ. პარაგრაფი 2: „შეხვედრის მიზანი იყო დაედგინა ურთიერთობანი აფხაზეთსა და საქართველოს შორის“, და კიდევ პარაგრაფი 6: „...და აფხაზეთსა და საქართველოს შორის მომავალი ურთიერთობების დადგენა“.

აფხაზი ისტორიკოსი, ს.ლაკობა, მიმართავს მოვლენებს, რომლებიც მოხდა 1917 წელს, მალე ბეჭდავს მიმართვას დახმარებისათვის კერზონის პრესაში „აფხაზები: ცნობარი“ (ლონდონი). იგი ხაზს უსვამს, რომ საქართველოს ეროვნულ საბჭოსთან შეხვედრისას 1918 წლის 9 თებერვალს აფხაზეთის სახალხო საბჭოს (ასს) დელეგაცია „ცდილობდა საქართველოსთან მხოლოდ კეთილმეზობლურ ურთიერთობას, როგორც თანაბარუფლებიან მეზობელთან“. შედეგიანი შეთანხმებისას ცნობილი იქნა „ერთიანი განუყოფელი აფხაზეთი მდ.ენგურიდან მდ.მზიმთამდე“. როცა საქართველომ გამოაცხადა დამოუკიდებლობა 1918 წ-ის 26 მაისს, აფხაზეთი მისი ნაწილი არ ყოფილა, რადგან შედიოდა მთიელთა რესპუბლიკის შემადგენლობაში (მოძმე ჩრდილო კავკასიელებთან პლუს ირანელ ოსებთან და თურქ ყარაჩაი-ბალყარელებთან ერთად).

თუმც ძალზე უცნაურია წაიკითხო, რომ 8 ივნისს საქართველოს მთავრობამ „მიანიჭა აფხაზეთს სრული ავტონომიის უფლება და, დაპირდა ეკონომიკურ და სამხედრო დახმარებას“ – რა უფლება ჰქონდა საქართველოს, მიეცა აფხაზეთისათვის, დამოუკიდებელი ერთეულისათვის, „სრული ავტონომია?“ მომდევნო სამხედრო ქმედება, რომელიც განახორციელა გენერალმა მაზნიევმა (ქართველი, რომლის ნამდვილი გვარი იყო მაზნიაშვილი) შთაგონებული იყო აფხაზეთის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენით (მშვენიერი შტრიხია შევარდნაძისა და მისი დასავლელი ძმაკაცების მწარე ჩივილისათვის, რომელთაც სურთ იძულებით მოაქციონ აფხაზეთი სტალინის საზღვრების მოდელში, იმ მიზნით, რომ დაიცვან საქართველოს პოსტ – 1931 წლის ტერიტორიული ინტეგრაცია) და წინააღმდეგობა გაეწიათ ბოლშევიკური საფრთხისათვის. ეგრეთ წოდებული 8 ივნისის „საფრთხე“ ხელმოწერილი იყო აფხაზეთის დელეგაციის მიერ, რომელსაც არ გააჩნდა უფლებამოსილება. დოკუმენტის ორაზროვნებამ საშუალება მისცა მაზნიევს, შესულიყო აფხაზეთში. მან დაპყრობილი (sic) ტერიტორია გენერალურ გუბერნიად გამოაცხადა. ქართული ძალების ამ გაუმართლებელ და არასასურველ შეჭრაზე აფხაზების რეაქციას ლაკობა ასე აღწერს: „აფხაზეთის პარლამენტი გამოვიდა მძლავრი პროტესტით საქართველოს მოქმედების წინააღმდეგ, ვიდრე აფხაზი ხალხი აღსდგებოდა ოკუპანტთა წინააღმდეგ საბრძოლველად. საპასუხოდ საქართველოს მთავრობამ ორჯერ (1918 წ-ის აგვისტოსა და ოქტომბერში) დაშალა აფხაზეთის რესპუბლიკის პარლამენტი, დააპატიმრა აფხაზეთის პარლამენტის დეპუტატები და დაატუსაღა ისინი თბილისის მეტეხის ციხეში! საერთო აზრით „დემოკრატიული“ არჩევნები იყო პერსპექტივა აფხაზეთის მესამე სახალხო საბჭოსთვის. ამას რომ ეხებოდა, ქართულმა დოკუმენტმა დაადგინა: „როგორც პარლამენტის დეპუტატები, არჩეულნი შეიძლება იქნენ მხოლოდ ქართული სუბიექტები, რომლებიც არ არიან აფხაზეთში“. არჩევნების დასრულებამდე მომავალი აფხაზი დეპუტატები გაათავისუფლეს მეტეხის ციხიდან, და ეს მოხდა ბრიტანული მაღალი ხელმძღვანელობის ბრძანებით, რომელიც მაშინ მოქმედებდა ტრანსკავკასიაში! სტატიის მკითხველებმა შეიძლება შენიშნონ ქართული მიდგომა იმპერიალისტურ გერმანიასთან კავშირის ჩამოყალიბებაზე მთელ ევროპაში, ავსტრალიასა და ჩრდ.ამერიკაში ომამდე.

დამოუკიდებელი მენშევიკური საქართველოს ჭეშმარიტი ბუნება (1918–1921) შეიძლება გამოჩნდეს მისი თანამედროვე ინგლისელი სტუმრის მიმოხილვის გაცნობისას. 1921 წელს ინგლისში გამოვიდა წიგნი „დენიკინის რუსეთსა და კავკასიაში, 1919–1920“, რომელშიც მისი ავტორი კარლ ერიკ ბეჰოფერო (რობერტსი), ინგლისელი, წერს: „თავისუფალი და დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული საქართველოს სახელმწიფო“ ჩემს ხსოვნაში ყოველთვის დარჩება როგორც იმპერიალისტური „პატარა ერის“ კლასიკური მაგალითი. ორივე მხრივ, როგორც ტერიტორიის დამპყრობელისა გარეთ და ბიუროკრატიული ტირანიისა შიგნით, მისი შოვინიზმი ყველა საზღვარს სცილდებოდა“ (გვ. 14).

ვინმე ვორობიოვის შენიშვნით, „საქართველოს საზღვრები უნდა მიეკუთვნოს აფხაზეთს, რადგან მისი მისწრაფება ავტონომიისაკენ არ შეიძლება უარყოფილ იქნას მხოლოდ იმიტომ, რომ რამდენიმე ასეული ქართველი ცხოვრობს იქ“ – მკითხველი „ინფორმირებულია“, რომ 1917 წელს „აფხაზეთის ქართული მოსახლეობა შეადგენდა 74.846 (42,1%), აფხაზები კი – 38.191 (21,4%). არ არის გასაკვირი შეფარდება იმისთვის, რომ „ქართველები ძირეული მოსახლეობაა, ისევე; როგორც აფხაზები“. ეს გვიანდელი დებულება კიდევ უფრო გვიან გადავიდა თეორიაში. თბილისელი წამყვანი (ფსევდო) – მეცნიერები ცდილობენ წარადგინონ ის განსჯისათვის, რათა გაამართლონ საქართველოს გავლენა აფხაზეთზე, სახელდობრ, ორი ხალხი ყოველთვის გვერდიგვერდ ცხოვრობდა ამ ტერიტორიაზე, შეხედულება, რომლისთვისაც სრულიად არ არსებობს დამაჯერებელი ისტორიული საფუძველი (და უფრო უაზროა მეორე „თეორია“, რომელიც შეიძლება გაიგონოთ ენგურის აღმოსავლეთით მდებარე წყაროებიდან, სახელდობრ, რომ ჩრდილო-დასავლელი კავკასიელი აფხაზები „საქართველოს“ მიწაზე მხოლოდ ორი-ხუთი საუკუნის წინ ჩამოსახლდნენ). ეს ციფრები მოითხოვს კომენტარს.

პირველ რიგში, ხაზი უნდა გაესვას, რომ 1992 წელს, აფხაზეთში შუღლის დაწყებისათვის, იქ შედარებით მცირერიცხოვანი ქართველები ცხოვრობდნენ. თუმცა ბოლო საბჭოთა აღწერამ 1989 წელს „ქართველების“ რაოდენობა თითქმის 240.000 (45,7%) აჩვენა, ეს გაკეთდა (ალბათ 90%) მეგრელების ხარჯზე. მეგრული ქართულის მონათესავე ენაა, როგორც სვანური და ლაზური, და სავარაუდოა, რომ დანარჩენი 10% შეადგინეს სვანებმა, ქართველებმა და ძალიან ცოტა ლაზებმა (რომლებიც უმეტესად თავიანთ სამშობლოში ცხოვრობენ თანამედროვე თურქეთში). ასე რომ, თუ შესაძლებელია ომისწინა აფხაზეთში 240.000 ქართველური ტომის წარმომადგენელი იყოს, ქართველი იქ ძალიან ცოტა იქნებოდა. აფხაზეთის მეგრელთა უმეტესობა ცხოვრობს (ცხოვრობდა) გალის პროვინციაში. დღესდღეობით ცოტას თუ ეპარება ეჭვი გალის მცხოვრებთა მეგრელობაში, მაგრამ მე-19 საუკუნის დასასრულს და მე-20 საუკუნის დამდეგს გალის (ან სამურზაყანოს) მცხოვრებთა ეროვნებაზე ცხარედ დაობდნენ. ვინ იყვნენ ისინი, აფხაზები თუ მეგრელები? მაშინ როცა მეგრული ენა ისტორიულად შეუერთდა ქართულს მისი აღმოსავლეთი საზღვრიდან, მდ.ცხენისწყალზე, იგი წარუმატებლად დაესხა თავს აფხაზურს დასავლეთი საზღვრიდან მდ.ენგურზე. ქართველი შ.ბერიძე მის (ქართულ) მეგრულის გრამატიკაში, 1920 წ. სადაც გვთავაზობს მიმოხილვას, რომელიც მოიცავს როგორც ლინგვისტიკის ისტორიას, ისე აფხაზეთის ამ სამხრეთ ნაწილის ეთნიკურ შემადგენლობას, მე-20 გვერდზე სამურზაყანოს შესახებ წერს: „ასე რომ, სამურზაყანო (ენგურიდან ღალიძგამდე, ოჩამჩირის კარიბჭის ჩრდილოეთით), უნდა ჩაითვალოს „გამეგრელებულ“ რეგიონად, რადგან აქ შეუძლებელია გაიგონო აფხაზური ენა, რაც შესაძლებელი იყო 30-50 წლის წინათ. ახლა მეგრელები ჭარბობენ. ინტელიგენციამ (გალი-აჩიგვარა), რა თქმა უნდა, იცის რუსული წერა-კითხვა, ლაპარაკობს მეგრულად და არ იცის ქართული. აფხაზეთის დემოგრაფია გამოკვლეულია დანიელ მიულერის მიერ კერზონის ცნობარში. შესაძლებელი გახდება დავინახოთ, რას ამბობს იგი განსახილველი პერიოდის ციფრებზე.

მიულერი რუსული 1897 წლის აღწერას ზუსტად თვლის. სოხუმის ოკრუგში იყო 58.697 აფხაზი, 25.873 ქართველური წარმოშობის (მათგან 23.810 მეგრელი) ადამიანის წინააღმდეგ. იგი მიმოიხილავს: „საოცარია (და ეს ცუდ შედეგს გვაძლევს), რომ ქართველი მეცნიერები არასოდეს აღნიშნავენ წყაროებს“, მიულერის თანახმად, არც ერთი დამაჯერებელი წყარო არ გამოჩენილა 1926 წლის შემდეგ (იხ.პირველი საკავშირო აღწერა). დიდი საბჭოთა ენციკლოპედია, რომელიც ასევე 1926 წელს გამოვიდა, იძლევა შემდეგ ციფრებს აფხაზეთისათვის: 89.794 აფხაზი (48,1%), 18,4% ქართველი. 1926 წლის საკავშირო აღწერაში სამურზაყანოელები აშკარად რეგისტრირებული არიან როგორც ქართველური წარმოშობის, რადგან ასეთი ციფრებია: აფხაზები 55.918, ქართველური 67.494 (აქედან 40.989 მეგრელები და 24.576 ქართველები). განსახილველი პერიოდის „არასარწმუნო“ წყაროებს მიულერი მიათვლის: კავკასიის კალენდარს (1917) და 1917 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერას. პირველ მათგანზე იგი წერს: „აბსურდული კატეგორიები, მსგავსი „სხვა აზიელები“-სა, მხოლოდ მანიპულაციების მიზნით გამოიყენება. უსაგნო დაყოფიდან აღებული (ციფრებიც არ არის სწორი), ეს კატეგორიები კარიკატურაა ეთნო-დემოგრაფიაზე“. მეორეზე ამბობს: „1917 წლის შემდეგ ქართველები დიდად ჩამორჩებოდნენ კოდორში, გუდაუთასა (აფხაზებს) და გუმისთაში (სხვა მცხოვრებლებს, ძირითადად ბერძნებს), და უმეტესობა მხოლოდ პატარა სამურზაყანოში იყვნენ), რაც მხოლოდ იმით აიხსნება, რომ სამურზაყანოელები იმავე სიაში შეიყვანეს, რამაც ქართველები“. ამ კონტექსტით მკითხველებს შეუძლიათ გამოიმუშაონ საკუთარი დამოკიდებულება იმ ციფრების ღირებულებაზე, რომლებიც შეკრებილია ქართულ სტატიაში.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

მეოთხე გვერდიდან

# ვინ მისტირის კომუნისტების რეჟიმს?!

კომუნისტებმა კი ჩაიდინეს!

და მაინც ველიკორუსები ხშირად წამოგვაყვედრებდნენ ხოლმე – ქართველებს გერმანელებთან არ უომიათ და საქართველოში კოლექტივიზაციაც არ მომხდარა სტალინის მფარველობის წყალობითო (?!) ჩვენდამი ასე ზიზღით ავსებულ ორფეხა პირუტყვებს სპეტაკმა ბოლშევიკებმა უპასუხონ მარქსიზმ-ლენინიზმის მოშველიებით.

ჰიტლერმა თავისი ბრიყვული ფილოსოფიის (რასიული თეორიის) შედეგად მთელი მსოფლიო გადაიმტერა და რაღა თქმა უნდა ადრე თუ გვიან დამარცხდებოდა.

ახლა ვიკითხოთ, როგორ უნდა იცხოვროს გამარჯვებულმა ხალხმა? ალბათ, დამარცხებულზე უკეთ, არა?

პირიქით რომ მოხდა! როგორ უნდა ავხსნათ ეს!

აი, სწორედ აქ ჩანს თვალნათლივ მთელი კომუნისტური რეჟიმის, სისტემის, წყობის ბუნება თუ არსი. ამას აშკარად ადასტურებდა ორი გერმანიის – ფედერაციულის და დემოკრატიულის, ცხოვრების დონე, ერთში რომ კარგად ცხოვრობდნენ და მეორეში – ცუდად. რატომ? ორთავე მხარეს ხომ ერთი ხალხი ცხოვრობდა! გერმანელებს ხომ შრომა არავისგან ესწავლებათ. მთელი „საიდუმლოება“ იმაში მდგომარეობდა, რომ კომუნისტურ გერმანიაში საზოგადოებრივი საკუთრება არსებობდა და თავისუფალში – კერძო (სულიერ საზრდოზე, სარწმუნოებაზე ლაპარაკი კასტელებთან წყლის ნაყვას ნიშნავს, რადგან ცნობილია მარქსის „ბრძნული“ გამოთქმა – რელიგია ხალხის ოპიუმიაო). გარდა ამისა, სასაცილო ის იყო, რომ გერმანელებს მარქსის „მოძღვრებას“ თავს ახვევდა სკკპ (ლენინიზმით „გაღრმავებულ მოძღვრებას“), თითქოსდა ლუთერის, კანტისა და გოეთეს ხალხს დამოუკიდებელი აზროვნება არ შეეძლო.

ათეული მილიონობით პატიმრის სიხხლითა და ძვლებით წამოიწყო კრემლმა ეგრეთწოდებული „კომუნიზმის დიადი მშენებლობანი“. ამავე დროს დედამიწის საკუთარ ჭკუაზე მოქცევა ჰქონდათ განზრახული, რამაც გამოიწვია „ცივი ომი“. კომუნისტები ყოვლისშემძლეებად თვლიდნენ თავს და ამის დასამტკიცებლად ციმბირის უზარმაზარი მდინარეების კალაპოტის შეცვლა გადაწყვიტეს! (ვოლგა-დონის არხით მთელ მსოფლიოს ყური გამოუჭედეს, ეს არხი კი ზამთარში 6 თვით იყინებოდა).

დიქტატორის სიკვდილის შემდეგ მოსახლეობაში შიშის ფაქტორი მოიხსნა და დაიწყო აღვირახსნილი მექრთამეობა ყველა სფეროში. მერე კი ქურდობა კომუნისტური რეჟიმიდან გამომდინარე დაუწერელი კანონი გახდა! ადამიანს აუცილებლად უნდა ექურდა, რომ ოჯახი შეენახა, რადგან ხელფასი თითქმის არ არსებობდა და თუ არსებობდა, ძალიან მცირე. ვიცი, ბევრი ძველი პარტიული და არაპარტიულიც ამ სიტყვების წაკითხვისთანავე ნიშნისმოგებით დღევანდელობაზე ჩამომიგდებს სიტყვას, მე კი მათ ასე ვუპასუხებ: ეს ჩვენი დღევანდელობაც იმ რეჟიმის დანატოვარია, რომელმაც ხალხის უმრავლესობა სულიერად გახრწნა და გადააგვარა. დღევანდელი ნაძირალები მთვარიდან არ ჩამოფრენილან, ისინი ჩეკისტების დროსაც ისეთები იყვნენ, როგორებიც არიან დღეს, მაგრამ მაშინ კატორღის, თუ ტყვიის შიშით ნაკლებად გამბედავნი იყვნენ, გული კი ისეთივე ბინძური და დაუნდობელი ჰქონდათ, როგორიც ახლა აქვთ. ვინ გაბედავდა ან ქრთამის აღებას, ან იარაღის ტარებას, ან ურიგოდ ერთი პურის აღებას ეჟოვის, იაგოდას, ბერიას დროს!..

ვერ გაბედავდნენ იმიტომ, რომ იმპერიას ისეთი კლანი „მართავდა“, რომელთანაც შედარებით ყველა პოტენციური ბანდიტი, ქურდი თუ ყაჩაღი უცოდველი გულუბრყვილო ბავშვები იყვნენ. პარტიაში შედიოდნენ მხოლოდ იმიტომ, რომ აელოთ ქურდობის პატენტი, ანუ – პარტბილეთი. (რა თქმა უნდა, სტალინის ტირანიის დამთავრების შემდეგ). პარტიაში შესვლა ნიშნავდა თანამდებობის მიღების პოტენციურ შესაძლებლობას, ესე იგი, ქურდობის უფლების ნებართვას. ამიტომაც შედიოდნენ იმ ეგრეთწოდებულ პარტიაში ქრთამით! ვინ იქნება ისეთი უტიფარი, რომ ეს უარყოს! ყოველი პარტკომი ყველგან პირწავარდნილი მექრთამე იყო. ბევრი შემომედავება და მეტყვის – სტალინის დროს წესიერება იყოო. მართალია, იყო, მაგრამ ადამიანებს მაშინ უმიზეზოდაც ულეტდნენ და ქრთამის მიცემას ან აღებას ვინმე გულში გაივლებდა? ყოველ წამს დაპატიმრების მოლოდინის წინ შეიძლება ადამიანმა იქურდოს? როგორც კი ამისი შიში მოიხსნა, მაშინვე აყვავდა მექრთამეობა, რადგან ნამდვილი ხელფასი არ არსებობდა!

კომუნისტების „დამსახურებად“ უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ მათ მანდილოსანს ქალობა დააკარგვინეს, დაავიწყეს ოჯახი და მარქსისტული აგიტაციით ისე გამოათაყვანეს, რომ წაართვეს დედობა, სითბო, მომხიბვლელობა, მოკრძალებულობა, გადაავიწყეს დიასახლისობა და გადააქციეს გაანჩხლებულ, გაამპარტავნებულ, უზრდელ არსებად. იგულისხმება, რა თქმა უნდა, გაპარტიულებული მანდილოსნები.

მსოფლიოში გამომავალი ყოველი კომუნისტური ჟურნალი, ბროშურა თუ გაზეთი, კრემლის დაფინანსებული იყო.

ამასთან ერთად მსოფლიოში უძლეველობის ავტორიტეტი რომ დაემკვიდრებინათ, თანამგზავრების გაშვება დაიწყეს (მაშინ, როცა ბევრ მიყრუებულ რუსეთის სოფელში კანფეტიც არ ჰქონდათ თვალით ნანახი).

ასე უაზროდ იფლანგებოდა მილიარდები!

ხალხი კი ქურდობდა, რომ ოჯახი ერჩინა.

იქ კი, სიკვდილის კოლონიებში, ათეულ მილიონობით ადამიანი სიცოცხლის ფასად დოვლათს ქმნიდა, რომელსაც კრემლი კომუნისტური სისტემის უძლეველობის დემონსტრირებისთვის კოსმოსში ფლანგავდა.

ხალხი კი ათასგვარ მაქინაციას იგონებდა, რომ ოჯახი ერჩინა!

თუ მთელი მსოფლიოსთვის ცნობილია დახაუს, ოსვენციმის, რავენსბრიუკის ჰიტლერული სიკვდილის ფაბრიკები, ასევე უნდა იყოს ცნობილი ნორილსკის, კალიმის, ყარაგანდის, ვორკუტის, ჩრდილოეთ დვინის, ინტის, პეჩორის (ყველას ვინ ჩამოთვლის) კომუნისტური სიკვდილის კოლონიები!

მთელი მსოფლიო რომ აიმხედრეს თავიანთი იდეოლოგიის წყალობით, კომუნისტებს, რა თქმა უნდა, კარგად ესმოდათ, დედამიწაზე მცხოვრები ყველა ხალხი მათი მტერი რომ იყო (განსაკუთრებით ეგრეთ წოდებული სოციალისტური ბანაკი). არც ერთი სახელმწიფო არ იყო მათ მიმართ მეგობრულად განწყობილი, თვით მათი ჯიშის სლავიანური ქვეყნებიც კი! ამიტომაც ეშინოდათ ყველასი და ფანტასტიურ, კოლოსალურ, ზღაპრულ სახსრებს ახმარდნენ შეიარაღებას (ძირითადად ისევ და ისევ კატორღებიდან შემოსული ფულით). იმდენი ატომური წყალბადის და ნეიტრონის ბომბი დააგროვეს, რომ, პლანეტას მოწყვეტს ორბიტიდან (ეს მათი შიშის დამადასტურებელი უფრო იყო, ვინემ ძალის!).

განუწყვეტელმა შეიარაღებამ თითქმის მთელი ბიუჯეტი რომ შთანთქა, გაუჭირდათ კრემლის ლიდერებს და გამოსავალი იმაში ჰპოვეს, რომ დიდი ქალაქები სურსათის მომარაგების მხრივ კატეგორიებად დაჰყვეს (თბილისი, მგონი, მეოთხე კატეგორიაში მოახვედრეს)! თან წარამარა უტიფრად გაიძახოდნენ – ჩვენ ყველანი ერთნი ვართ, ჩვენ ყველას ერთი უფლება გვაქვსო. მაშინ, როცა მათ მიერ დაპყრობილ ქვეყნებში პური, ხორცი თუ კარაქი თანაბრად არ ნაწილდებოდა, დედამიწას მაინც გაწითლებით ემუქრებოდნენ!

მგონი, აჯობებს, უბრალოდ ჩამოვთვალო საბჭოური სინამდვილისთვის დამახასიათებელი რამდენიმე ისეთი ფაქტი, რაც ალბათ მიახლოებით დაანახებს კომუნისტური ბუნების სისტემაში გაუთვითცნობიერებულ ადამიანს იმჟამინდელ რეჟიმს და რაღაცაზე ცოტა ხნით მაინც დააფიქრებს.

ყოველივე ქვეყით მოთხრობილი მიამბეს იმ ადამიანებმა, რომლებმაც ან პირადად იწვნიეს მაშინდელ ატმოსფეროში გამეფებული სიმახინჯეები, ანდა მათმა ახლობლებმა.

ოცდაათიანი წლებია. ქვეყანა საშვიდნოემბრო ზეიმისთვის ემზადება, „ზეიმისთვის“ ირთვება. ჩვენი დედაქალაქის შენობების ფასადებსა და საცხოვრებელი სახლების ფანჯრებზე მსოფლიო პროლეტარიატის ბელადების უზარმაზარ პორტრეტებს ჰკიდებდნენ (რის გამოც მთელი კვირის განმავლობაში ბინებში დღის სინათლე აღარ შემოდიოდა). ერთი ახალგაზრდა პედაგოგი მაშინდელ ბერიას მოედანზე შეჩერებულა და ჯიბეებში ხელებჩაწყობილს ფასადებზე ჩამოკიდებული პორტრეტების თვალიერება დაუწყია და თან ამთქნარებდა თურმე. შორიახლო მდგომ ვიღაც „ამხანაგს“ ეს შეუმჩნევია, პედაგოგს მაშინვე მხარში ამოდგომია და ხელკავით ჩეკამდე მიუცილებია... ათი წლის კატორღა მიუსაჯეს იმ უბედურს იმიტომ, რომ იგი ბელადების პორტრეტებს შესცქეროდა და... ამთქნარებდა! ციმბირში პოლიტპატიმრებმა რომ ჰკითხეს, რა დანაშაული წამოგიყენესო, შერცხვა თურმე საცოდავს სიმართლე ეთქვა და იცრუა – სკოლაში ბუდიონის პორტრეტი ჩამოვაგდე კედლიდან ბოტანიკის კაბინეტში, შემომისწრეს და დამაპატიმრესო. – აუჰ! დახვრეტას გადარჩენილხარო, გაკვირვებია ბევრს, თუმცა, უმრავლესობამ არ დაუჯერა და იმ დღიდან ეჭვის თვალით უმზერდნენ მთქნარებისთვის გადასახლებულ კაცს. შინ ცოცხალი რომ დაბრუნდა, დაგლახებული და ეს ამბავი თავის ახლო ამხანაგებს უამბო სუფრასთან, მერე შუა აზიაში უკრეს თავი, საიდანაც რამდენიმე წერილი გამოუგზავნა თავისიანებს და იქ დალია სული.

ამასაც ბედი ჰქვია ვითომ?

ყველას ახსოვს ალბათ საშუალო სკოლის სახელმძღვანელო – „სსრკ ისტორია“. ასე ეწერა წიგნის ყდაზე. გადაშლიდი და – მასში მთლიანად რუსეთის ისტორია იყო მოთხრობილი. მთელი კავკასიის და შუა აზიის ხალხების წარსულს 4–5 გვერდი ჰქონდა დათმობილი! ისიც წვრილი შრიფტით აწყობილი! ჩემმა მასწავლებელმა ერთ დღეს გაბედა და მთელი გაკვეთილი საქართველოს ისტორიას დაუთმო. მახსოვს, როგორ გატრუნულები ვუსმენდით... მაგრამ ის მასწავლებელი მერე აღარ გვინახავს (მოსწავლეებშიაც ხომ ჰყავდათ კომუნისტებს დამბეზღებლები).

ჩემი სტუდენტობის მეგობრის ნაამბობი:

ბაგა-ბაღში აღმზრდელმა ქალმა ლენინის სურათზე მიგვითითა და გვითხრა: ჩვენი დიდი ბელადი მამაზე და დედაზე უფრო მეტად უნდა გიყვარდეთო. ერთ ჩემს მეგობარს სპორტსმენი მამა ჰყავდა, შესახედაობით ვაჟკაცური გარეგნობის, გრუზათმიანი. თავმოტვლეპილი ლენინისთვის რომ შეუხედავს, უნებურად ჩაუბუზღუნებია, – მე ჩემი მამა მიყვარს ყველაზე უფრო მეტადო. შეშლილის თვალებით მიაჩერდა თურმე ბავშვს აღმზრდელი ქალი და საშინელი წივილ-კივილი მოურთავს. ჩემი ბავშვობის მეგობრის მამა ვორკუტაში გადაასახლეს და იქიდან აღარ დაბრუნებულა.

როგორც წესი, დაპატიმრებული ადამიანები შუაღამისას მიჰყავდათ ოჯახებიდან ჩეკისტებს. ერთი ცნობილი ქართველი კინორეჟისორი იმ დღეებს ასე იგონებდა:

როცა ოდნავ შეთეთრდებოდა ცა, ოჯახში სიხარულის ჟრიამული ატყდებოდა, ზეიმი იწყებოდა და ასე გრძელდებოდა გვიან ღამემდე. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ მთელი დღე კიდევ ერთად ვიქნებოდით, მთელი დღე კიდევ წინ გვქონდა, თავისუფლები და ცოცხლები ვიყავით და ჩვენი იყო მთელი დღე.

თითოეულმა ადამიანმა საკუთარ თავზე უნდა წარმოიდგინოს, თუ როგორი გადასატანი იქნებოდა შესაძლო დაპატიმრების ყოველდღიური ლოდინი!

ჩვენი ერთი მეზობელი გააქრეს უკვალოდ მხოლოდ იმიტომ, რომ უმაღლესი ცოდნა „ბურჟუაზიულ გერმანიაში“ ჰქონდა მიღებული. მისი საქმე მეუღლემ რომ გაიკითხა, ისიც დააპატიმრეს და წამებაში ამოხადეს სული, რადგან ძლიერი ნებისყოფის ქალს არ დაუსახელებია „ტროცკისტი ქმრის თანამზრახველები“. იმჟამინდელი სინამდვილის ეს ჩვეულებრივი ტრაგედია შვილებმა ძალიან გვიან, სამოცდაათიან წლებში შეიტყვეს.

წყალდიდობას რომ დაეტბორა რომელიმე სოფელში ნათესები, გაზეთებში ამის ხსენებაც სასტიკად აკრძალული იყო. რატომ? იმიტომ, რომ საბჭოთა სინამდვილეში როგორ შეიძლებოდა მომხდარიყო „ბურჟუაზიული წყალდიდობა!“ „ასე მსჯელობდნენ“ სპეტაკი ბოლშევიკები – სტიქიას, ბრმა ძალას, შეეძლო დაემარცხებინა საბჭოთა წყობილება? ანუ უძლეველი კომუნისტური სისტემა?

ბევრი ამას არ დაიჯერებს და ბუნებრივიც იქნება, რომ ყოველმა საღად მოაზროვნემ ეს შეთითხნილ სიცრუედ ჩათვალოს. არადა, ჩემი თაობის თითოეულმა ადამიანმა იცის, რომ წყალდიდობის, გრიგალის, დიდთოვლობის, თუ სხვა სტიქიური მოვლენების ხსენება პრესაში უბრალოდ წარმოუდგენელი იყო. რუსთაველის თეატრი დაიწვა (მგონი, ორმოცდაშვიდში) და არსად უხსენებიათ. ის კი არადა, სადგურის უფროსს რომ სცოდნოდა, წინასწარ მატარებელი ორი საათით დაიგვიანებდა, ამასაც ვერ გამოაცხადებდა მორიგე საჯაროდ. მიწისძვრის ხსენება ხომ აბსოლუტურად გამორიცხული იყო.

ერთ-ერთი რაიონული გაზეთის რედაქტორმა ორმოციან წლებში თავი გადადო, გაბედა და საერთო კრებაზე განაცხადა – რამდენიმე ამხანაგის დაუდევრობით ჩვენი ბაზრის კანტორა ოდნავ დაიწვაო. როგორ თუ პანიკას თესავ მოსახლეობაშიო და... ერთი სიტყვით, ის კაციც უკვალოდ გააქრეს (ეს ამოიკითხა მისმა შვილმა დოსიეში მოგვიანებით).

ოცდაათიან წლებში ერთ ბიჭს ერთი გოგო შეუყვარდა და უნდოდა ცოლად შეერთო. გოგომ ბიჭს ასეთი პირობა წაუყენა თურმე: იმ შემთხვევაში გამოგყვები, თუკი ისე გეყვარები, როგორც დიდ ლენინს თავისი სულიერი მეგობარი კრუპსკაია უყვარდაო. ბიჭს პირი დაუღია და ძლივსძლივობით ამოუღერღავს – კრუპსკაია ვინაა, მე შენ საკუთარ თავზე უფრო მეტად მიყვარხარ და მეყვარებიო. ასეთ პასუხზე გოგომ თურმე შეაფურთხა ბიჭს კომკავშირულად, შეყვარებულს ველარ მოუთმენია და სილა გაუწნავს გოგოსთვის. მეორე დღეს ბიჭი კომკავშირის კრებაზე დაიბარეს, რადგან გოგომ მდივანს განცხადებით მიმართა თურმე – პროლეტარიატის დიდი ბელადის სულიერი მეგობარი უდიერად მოიხსენია და გთხოვთ საჭირო ზომები მიიღოთო. სიტყვაში გამომსვლელები ერთმანეთს არ აცლიდნენ და აღშფოთებულები იმ ბიჭს მიწასთან ასწორებდნენ. მხოლოდ ერთადერთ კაცს გაუბედავს, ფეხზე წამომდგარა და უთქვამს – რაში ადანაშაულებთ ამ ახალგაზრდას, ვერ გამიგია, კრუპსკაიაზე მეტად თუ თავის საცოლე ეყვარებოდაო. იქვე კინაღამ ჩაქოლეს ამისი მთქმელი... ორთავეს ციმბირში უკრეს თავი თავიანთ დედ-მამასთან, დებთან და ძმებთან ერთად, ორთავე ოჯახიანად გადაასახლეს. მხოლოდ მცირეწლოვანი გოგონა დაუტოვეს შეყვარებული ბიჭის ნათესავებს. გადასახლებიდან მისი ძმები დაბრუნდნენ და ის კაცი, ვინაც გაბედა კრებაზე მისი გამოსარჩლება (ოღონდ დაბრუნდა ცალხელა).

კოლექტივიზაციის დროს კომუნისტური აგიტაციისგან გამოლაყებულმა უბედურმა ბავშვმა პავკა მოროზოვმა მძინარე მამა მოკლა ცულით, რადგან კოლექტივში შესვლა არ უნდოდა! ეს იყო, როგორც რუსები ამბობენ, სხვა თუ არაფერი, „სამოსუდი“ და იგი ჰამურაბის კანონებიდან მოყოლებული დღემდე ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში სასტიკად აკრძალულია. მაგრამ ბოლშევიკურმა კრემლმა ამ საზარელ ტრაგედიაში მასების გონების დამაბნელებელი საუკეთესო საგიტაციო მასალა დაინახა და მკვლელი გმირად შერაცხეს და რადიოთი და გაზეთებით ხალხს მოუწოდებდნენ – ყველა ასე უნდა მოქცეულიყო კოლექტივიზაციის და ლენინური პარტიის „კლასობრივ მტერსო“. მერე იმ უბედურ ბავშვს ძეგლი დაუდგეს და ძეგლთან გამართულ საგანგებო მიტინგებზე ახალგაზრდობას ფიცს ადებინებდნენ, რომ მომავალში ისინიც პავკა მოროზოვივით არ დაინდობდნენ კომუნიზმის მოწინააღმდეგეებს, ვინც არ უნდა ყოფილიყო იგი!

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ინფორმაცია

## ზესტაფონის „ფერომ" თურქეთის გასაღების ბაზარი დაიპყრო

სახელმწიფოში ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების ეტაპობრიობა იყო იმერეთის რეგიონში პარლამენტის თავმჯდომარის, ზურაბ ჟვანიას ვიზიტის ძირითადი მიზანი.

პირველი საწარმო, რომელიც თბილისიდან ჩამოსულმა დელეგაციამ მოინახულა, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა იყო. აქ უკვე ამოქმედდა ექვსი ღუმელი და როგორც მთავარი კომპანიის პრეზიდენტმა, დავით შალიკაშვილმა აღნიშნა, ქარხნის პროდუქციამ ფაქტიურად დაიპყრო თურქეთისა, და არა მარტო მისი, გასაღების ბაზარი. მისივე თქმით, ახლო მომავალში ზესტაფონი გამოუშვებს ქრომს, რაც ელიტარულ პროდუქტად ითვლება. საქართველო ანალოგიური ეკონომიკური განვითარების დონის ქვეყნებიდან ერთადერთია, რომელიც ამ პროდუქციას გამოუშვებს.

რაც შეეხება ამ პროდუქციისათვის აუცილებელ ნედლეულს, იგი თურქეთიდან და, ნაწილობრივ, სამხრეთ აფრიკიდან შემოვა. ამისათვის გაფორმებულია ყველა აუცილებელი კონტრაქტი. (გვა)

## შაშიაშვილს სხვანაირი გაყოფა ურჩევნია

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, ზურაბ ჟვანიას იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციასთან შეხვედრის დროს თემურ შაშიაშვილმა აღნიშნა, რომ ტრანსფერტების არსებული პრაქტიკა ხელს უშლის მხარის განვითარებას და გამოთქვა მოსაზრება, რომ რაიონები ცენტრალურ ბიუჯეტში მოგების მხოლოდ 30%-ს უნდა რიცხავდნენ, ხოლო 70% ადგილზე უნდა რჩებოდეს. (გვა)

## სოფლის გამგებლების როლი იზრდება

იმერეთში ჩამოყალიბდა იმერეთის რეგიონის სოფლის გამგებელთა და გადამამუშავებელი მრეწველობის მუშაკთა ასოციაციები. თათბირზე, რომელსაც იმერეთის ფაქტიურად ყველა სოფლის გამგებელი, მრეწველები და თბილისიდან ჩასული სტუმრები ესწრებოდნენ, ზურაბ ჟვანიამ აღნიშნა, რომ სოფლის გამგებელთა ასოციაციას განსაკუთრებული როლი ეკისრება. მით უმეტეს, რომ მოახლოებულია ადგილობრივი არჩევნები. (გვა)

## იმერეთში მდგომარეობა უმჯობესდება

ამოქმედებულ საწარმოებში დამატებით 6000-ზე მეტი სამუშაო ადგილი გაიხსნა, ხოლო ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში თებერვლის თვიდან საშუალო ხელფასი 200 ლარი იქნება. (გვა)

# შე „ტუფტა" დიპლომიანო, შენა!

***გრძელდება** ბიზნესმენ თემურ მასხულიას პროცესი, რომელიც დიდუბის რაიონის სასამართლოში 1997 წ. 25 დეკემბერს დაიწყო.*

პროცესის პირველ დღეს სახელმწიფო ბრალმდებელმა, ოთარ ნიკოლაიშვილმა თხოვნით მიმართა სასამართლოს, პროცესის დახურული წესით წარმართვის თაობაზე, რაც იმით ახსნა, რომ საქმეში ფიგურირებს მასალები, რომლებსაც მინიჭებული აქვს გრიფი „სრულიად საიდუმლო". ბრალდებულის ადვოკატმა ლევან მეგრელიშვილმა ამის საპასუხოდ განაცხადა, რომ ბრალმდებლის მოთხოვნა სრულიად უსაფუძვლოა, და, მართალია, წინასწარი გამოძიების დამთავრების შემდეგ საბრალდებო დასკვნის ავტორმა მას გრიფი „სრულიად საიდუმლო" მიანიჭა, მაგრამ, მისი აზრით, საქმეში არ არის არცერთი დოკუმენტი და გარემოება, რომელიც სახელმწიფო საიდუმლოს წარმოადგენს და არღვევს კანონს „სახელმწიფო საიდუმლოს შესახებ", ამიტომ საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლით, სასამართლოს სხდომა უნდა ჩატარდეს ღია წესით მისივე განცხადებით, სახელმწიფო ინტერესი აქ ნაკლებ როლს თამაშობს, მთავარი მიზანი საზოგადოებისათვის იმ სიბინძურის დაფარვაა, რასაც ამ საქმის წინასწარი გამოძიების „სამზარეულოში" ჰქონდა ადგილი: კერძოდ, შანტაჟების მთელი კასკადი, ბრალდებების ხელოვნურად გამოძალვა, უკანონო ჩხრეკები და ბრალდებები, ბოლოს, უკანონო დაპატიმრება.

მოსამართლე მიხეილ კოტრიკაძემ მხარეებს კომპრომისული ვარიანტი შესთავაზა – სხდომა მხოლოდ იმ ნაწილში დაეხურათ, რომელშიც საქმე დისკეტაზე აღბეჭდილ საიდუმლო დოკუმენტს შეეხებოდა. ბრალდებულის ადვოკატი თავის პოზიციაზე დარჩა.

შესვენების შემდეგ მიღწეულ იქნა კონსენსუსი და გადაწყდა, რომ სხდომა ნაწილობრივ დახურული წესით წარიმართებოდა მხოლოდ აღნიშნული დოკუმენტის განხილვის დროს. შემდეგ სახელმწიფო ბრალმდებელმა, პროკურორმა ოთარ ნიკოლაიშვილმა მოსამართლეს პროცესის გადადება სთხოვა, რათა უკეთ გაცნობოდა მასალებს.

პროცესი დიდუბის რაიონის სასამართლოში 12 იანვარს განახლდა. მისი პირველი დღე საბრალდებო დასკვნის გაცნობას და ბრალდებულის დაკითხვას დაეთმო. ბრალდებულმა არცერთ მის მიმართ წაყენებულ ბრალდებაში თავი დამნაშავედ არ ცნო და განაცხადა, რომ „მაკაროვის" ტიპის რევოლვერი, რომლის შენახვის ბრალდებაც ჰქონდა მას წაყენებული, უშიშროების თანამშრომლებმა უკანონო და ყველა წესის დარღვევით ჩატარებული ჩხრეკის დროს „ჩადეს" მის ბინაში.

13 იანვრის სხდომა ბინაში ჩხრეკის მოწმეების და მისი უშუალო შემსრულებლების დაკითხვას დაეთმო. მოწმეთა მტკიცებით, უშიშროების თანამშრომლებს მათთვის სანქცია ჩხრეკის შესახებ არ წარმოუდგენიათ

მოწმე იზოლდა სარაჯიშვილისა და ნელი სანიკიძის განცხადებით, ჩხრეკას 8 თუ 9 თანამშრომელი ახორციელებდა სხვადასხვა ოთახში. ასე რომ, ისინი ერთად არ მეთვალყურეობდნენ ჩხრეკის პროცესს, ხოლო ჩხრეკის ჩამტარებელთა სიმრავლე („რიგი მოდიოდა, რიგი მიდიოდა") არ იძლეოდა საშუალებას ყველა ოთახში იგი მოწმის თანდასწრებით განეხორციელებინათ რაც შეეხება რევოლვერს, რომელიც ჩხრეკის დამთავრების შემდეგ იპოვეს პიანინოს უკან, აღნიშნული ქალბატონები ვერ აფიქსირებენ, მიუხედავად იმისა, რომ ამ დროს სწორედ ამ ოთახში იმყოფებოდნენ ისინი – ამ პროცესზე დასასწრებად არავის მიუწვევია, მათ მხოლოდ ფაქტი აცნობეს, შავ ცელოფანში მოთავსებული რევოლვერი კი მხოლოდ მაგიდასთან მოტანის შემდეგ ნახეს.

ადვოკატმა ლევან მეგრელიშვილმა სასამართლოს ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ დადგენილება ჩხრეკის თაობაზე გამომძიებლის ბლანკზე იყო დაწერილი, რისი უფლებაც, მისი აზრით, უშიშროების სეპარატიზმისა და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სააგენტოს უფროსს, შალვა ელენტს, რომელიც ხელს აწერს ამ დოკუმენტს, არ ჰქონდა, რადგან იგი არც გამომძიებელია და არც მოკვლევის ორგანოს უფროსი. მას ჩხრეკის ჩატარება შეეძლო მხოლოდ გამომძიებლის დადგენილების საფუძველზე და მისივე დავალებით, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს უკანასკნელი არ დაესწრებოდა ამ პროცესს. ადვოკატის განცხადებით, იგი მოკვლევის უფროსიც რომ ყოფილიყო (ის ფაქტი, რომ შალვა ელენტი მოკვლევის უფროსი ყოფილა თავისი სტატუსით, ამ უკანასკნელმა ადვოკატისგან შეიტყო, რისთვისაც მას მადლობა გადაუხადა), იმ პერიოდის ანუ 1996 წლის 8 ივნისის მდგომარეობით, მაინც არ ჰქონდა ამგვარი უფლება, რადგან იმ დროს მოქმედი კანონმდებლობით მხოლოდ გამომძიებელს ჰქონდა ასეთი უფლება, მოკვლევის ორგანოებს კი იგი მიეცათ 1997 წლის 1 იანვრიდან; გამოდის, რომ მან ეს დადგენილება 6 თვით ადრე მიიღო, რაც იმას ნიშნავს, რომ მან გადააჭარბა თავისი უფლებამოსილების ფარგლებს იმდენად, რომ მისმა უკანონო ქმედებამ სისხლის სამართლის 187-ე მუხლის „საფეხურს" უწია.

საერთო ჯამში, პროცესზე ადვოკატმა მეგრელიშვილმა შალვა ელენტს ბრალი დასდო კანონის 141-ე მუხლის (უკანონო ჩხრეკის ჩატარება), 186-ე (თანამდებობის ბოროტად გამოყენება) და 187-ე მუხლების (სამსახურებრივი თანამდებობის უფლებების გადამეტება) დარღვევაში და დასძინა, რომ ელენტი იურიდიულად გაუნათლებელია და მისი დიპლომი, რომელიც შალვა ელენტის თქმით, უშიშროების სამინისტროს აკადემიაში მისცეს, „ტუფტაა". ამ უკანასკნელმა კი ყველაფერი პროკურორს გადააბრალა და განაცხადა, რომ თუ ჩხრეკა უკანონო იყო, მას 24 საათის განმავლობაში უნდა გაეუქმებინა მისი ოქმი. ადვოკატმა პროკურორიც მათ თანამოაზრედ გამოაცხადა და შალვა ელენტს დაპირდა, რომ ყველა მის თანამზრახველს ამოატივტივებდა „მისი თამადობით". შალვა ელენტს, რომელმაც სიტყვა „თამადის" ხსენება ძველ ახალ წელს და მის უცილობელ ატრიბუტს, სუფრას დაუკავშირა, ისღა დარჩენოდა ელიარებინა, რომ კანონის მუხლობრივი ცოდნით ვერ დაიტრაბახებდა, რადგან ვერ არის იმ დონის იურისტი, როგორიც პატივცემული ადვოკატია. მან ისიც აღნიშნა, რომ დღემდე არ იცნობდა მასხულიას პიროვნებას და იგი რომ „მას ყოლოდა დამუშავებაში" და უკეთ ცოდნოდა მისი პიროვნული ღირსებები, თავად გადაეფარებოდა მას მთელი ტანით

შალვა ელენტის გარდა პროცესზე იმ დღეს დაიკითხა ჩხრეკის მონაწილე უშიშროების სამსახურის ორი თანამშრომელი – მიხეილ ჩიხლაძე და ნიკოლოზ ნინუა. ამ უკანასკნელმა პასუხი ვერ გასცა ადვოკატის შეკითხვას, რატომ არ არის ოქმზე მისი ხელმოწერა, მაშინ, როცა იგი ამტკიცებს, რომ ქავთარაძესთან ერთად სწორედ მან ამოიღო რევოლვერი პიანინოს უკნიდან და გამოაცხადა, რომ ამას დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებს, რაზეც პასუხად ადვოკატისგან შემდეგი სიტყვები მიიღო: „თქვენთვის რომ არაფერს არა აქვს მნიშვნელობა და როგორც გინდათ ისე „გრიალებთ", სწორედ მაგას მოგახსენებთ".

თემურ მასხულიას თქმით, ჩხრეკის ჩატარების უშუალო მიმთითებელნი იყვნენ კონტრდაზვერვის სამმართველოს მაშინდელი უფროსი თემურ გრძელიძე და მისი მოადგილე კახა თოფურია, რომლებიც შოთა კვირაიას და ავთანდილ იოსელიანის დავალებას ასრულებდნენ. რაც შეეხება რევოლვერის ამოღების ფაქტს, თემურ მასხულიას თქმით, მან ზუსტად იცის, რომ მის ოჯახში იარაღის „ჩადება" შალვა ელენტს დაევალა. უშუალო შემსრულებელი კი ამ უკანასკნელის ხელქვეითი ელბაქიძე იყო, რომელმაც თავისი ხელით ჩადო იარაღი პიანინოს უკან. იგი, თურმე, ადგილის სიმცირის გამო ძლივს მოთავსდა აღნიშნულ ადგილზე.

14 იანვარს პროცესი თემურ მასხულიას და შალვა ელენტის დაპირისპირებით განახლდა, სადაც შალვა ელენტმა უარყო თემურ მასხულიას მიერ წაყენებული ბრალდება, რომ მის ბინაში იარაღის „ჩადება" სწორედ მას ჰქონდა დავალებული ხელმძღვანელობისაგან.

16 იანვარს დაკითხულ მოწმეებს ორი უშიშროების თანამშრომელი და ბრალდებულის მეუღლე შეემატა. პროცესი სამშაბათს, 20 იანვარს გაგრძელდება.

ქეთევან ჯაყელი

ინფორმაცია

## აფხაზეთს ახალი რუსი გენერალი გაუგზავნეს

დიდი ხნის ლოდინის შემდეგ, რუსეთის თავდაცვის სამინისტროს მიერ მოვლენილი ახალი სარდალი ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში გენერალ-მაიორი კორობკო გუშინ თბილისს ეწვია. გუშინვე იგი წარდგა საქართველოს თავდაცვის მინისტრისა და, შემდეგ, პრეზიდენტის წინაშე.

ახალი სარდლის ჩამოსვლა იანვრის ბოლოს, მაშინ, როდესაც მისი ამ თანამდებობაზე დანიშვნა თითქმის ორი თვის წინ მოხდა, შესაძლოა, მოასწავებდეს აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში განლაგებული რუსეთის სამშვიდობო ძალების მანდატის გაგრძელებას, რომელსაც ვადა 31 იანვარს უმთავრდება.

გენერალ კორობკოსთან ერთად თბილისს ეწვიენ საქართველოს სამხედრო წარმომადგენელი რუსეთის ფედერაციაში, გენერალ-მაიორი ვლადიმერ ჩიქოვანი და დსთ-ის ქვეყნების სამხედრო საკოორდინაციო შტაბის უფროსის მოადგილე, გენერალი მალცევი. (გვა)

## მიგრაციული პროცესები დარეგულირდება

საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის, ვალერი ვაშაკიძის თქმით, ასპინძის მზიური დასახლება გარკვეულ როლს ითამაშებს რეგიონში მიგრაციული პროცესების მართვაში. მან აღნიშნა, რომ თუ მზიური დასახლება გაამართლებს, ეს გარკვეულწილად შრომითი რესურსების მიგრაციის თავიდან აცილების საშუალებას მისცემს ამ რეგიონს.

„თუ სამცხე-ჯავახეთში ენერგეტიკული კრიზისი დაძლეულ იქნა, იქ ადგილობრივი მრეწველობა დაიწყებს მუშაობას და შრომითი მიგრაციის მართვა ამ შემთხვევაში ქვეყნისთვის სასარგებლოდ წარიმართება" – თქვა მან. (გვა)

თურმე გლეხებსაც სჭირდებათ ფული

თათბირზე, რომელიც იმერეთის რეგიონის ეკონომიკური განვითარების პერსპექტივებს მიეძღვნა, პარლამენტის თავმჯდომარემ, ზურაბ ჟვანიამ ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად გლეხობაში ფულის მასის არარსებობა დაასახელა. ეს, მისი თქმით, მრავალი ფაქტორით, მათ შორის სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესყიდვის ცენტრალიზებული სისტემის უქონლობითაც არის გამოწვეული, მაგრამ უმთავრესი მაინც შიდა ბაზრის დაცვის საკითხია, რაც საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთან ურთიერთობების კორექტირებასაც ითვალისწინებს.

ჟვანიას თქმით, ხელისუფლება მზად არის გადადგას გარკვეული ნაბიჯები ამ მიმართულებით, თუმცა ეს გარკვეულ დონემდეა შესაძლებელი, რადგან არავინ დაუშვებს ბაზრის რკინის ფარდის ქვეშ მოქცევას და კონკურენტული გარემოს ხელყოფას. (გვა)

# მსოფლიო გზებზე

## კრიზისიდან გამოსვლისათვის

აშშ-მ იაპონიას და თავის სხვა ძირითად პარტნიორებს უახლოეს დღეებში აღმოსავლეთ აზიაში ფინანსური კრიზისის დასაძლევად აუცილებელი ღონისძიებების გეგმის შესამუშავებლად თათბირის ჩატარება შესთავაზა.

თათბირში მონაწილეობას მიიღებენ მსოფლიოს შვიდი ინდუსტრიულად განვითარებული სახელმწიფოს ფინანსთა მინისტრები და ცენტრალური ბანკების წარმომადგენლები. შეხვედრაში მონაწილეობას მიიღებენ აგრეთვე ავსტრალიის, ახალი ზელანდიის, შვეიცარიის, ბელგიის, ნიდერლანდების, აგრეთვე საერთაშორისო სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკის და აზიის განვითარების ბანკის წარმომადგენლები. აშშ-ის ადმინისტრაციის წარმომადგენელთა აზრით, შეხვედრის მთავარი თემა უნდა იყოს აღმოსავლეთ აზიის სახელმწიფოებიდან, რომლებიც ეროვნული ვალუტის კურსისა და აქციების კურსის მკვეთრ დაცემას განიცდიან, კაპიტალის გადინების შეჩერება. თათბირის ჩატარების თარიღი ჯერჯერობით განსაზღვრული არ არის. მაგრამ როგორც ვარაუდობენ, შეხვედრა შესაძლოა შედგეს განვითარებული „შვიდეულის" ქვეყნების ფინანსთა მინისტრების შეხვედრის დასრულებისთანავე, რომელიც თებერვლის ბოლოსთვისაა დაგეგმილი. რუსეთის მონაწილეობა აღნიშნულ თათბირში გათვალისწინებული არ არის. (გეა)

## ბრიტანეთს ხორცის გაყიდვის უფლება მისცეს

ევროპის კომისიის რეკომენდაციით დიდი ბრიტანეთიდან მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცის ექსპორტზე დაწესებული აკრძალვა შემსუბუქდა და ამჟამად ნებადართულია ჩრდილოეთ ირლანდიიდან ხორცის გაყიდვა.

დიდი ბრიტანეთის საქონლის ხორცზე ემბარგო დაწესებული იყო 1996 წლის მარტში მას შემდეგ, რაც ხელისუფლებამ ოფიციალურად აღიარა, რომ „ძროხის ცოფის" სახელით ცნობილი ავადმყოფობა ადამიანებსაც გადაედებათ. ჩრდილოეთ ირლანდია გაერთიანებული სამეფოს ერთადერთი ნაწილია, სადაც მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის გადაადგილებას კომპიუტერული ტექნოლოგიით აკონტროლებენ, რაც პირუტყვში სასიკვდილო ავადმყოფობის ნიშნების არსებობის გამოვლენის საშუალებას იძლევა. ბრიტანეთიდან საქონლის ხორცის ექსპორტის აკრძალვამ ამ სახელმწიფოს მრავალმილიონიანი ზარალი მიაყენა. (გეა)

## ბალტიისპირეთის სახელმწიფოების პრეზიდენტებმა აშშ-სთან თანამშრომლობის ქარტიას მოაწერეს ხელი

16 იანვარს ვაშინგტონში ბილ ქლინთონმა და ბალტიისპირეთის სახელმწიფოების: ლატვიის, ლიტვისა და ესტონეთის პრეზიდენტებმა ხელი მოაწერეს უშიშროების სფეროში თანამშრომლობის ქარტიას.

არც ისე დიდი ხნის წინ ბალტიისპირეთის ქვეყნებმა რუსეთის მიერ შეთავაზებულ უსაფრთხოების გარანტიებზე უარი განაცხადეს.

ამერიკაში ხელმოწერილი დოკუმენტის ტექსტი საიდუმლოდ მზადდებოდა 1996 წლიდან. დამკვირვებელთა განცხადებით, აშშ-სთან სამხედრო სფეროში მჭიდრო კავშირის დამყარების დოკუმენტი ლიტვას, ლატვიას და ესტონეთს იმას აგრძნობინებს, რომ ამ ქვეყნებს ნატოში შესვლისათვის ამზადებენ. (გეა)

## არასტაბილურობის ახალი კერა ბალკანეთზე

ჩერნოგორიის ქალაქ პოდგორიცაში პოლიციასა და დემონსტრანტებს შორის მომხდარმა შეტაკებებმა, შესაძლოა, ბალკანეთზე არასტაბილურობის ახალი კერა წარმოქმნას.

დემონსტრანტები გამოვიდნენ ქალაქის ქუჩებში, რათა ოქტომბერში არჩეული პრეზიდენტის, დემოკრატ-რეფორმატორის მილო ჯუკანოვიჩის ინაუგურაცია ჩაეშალათ. მან ხმების მცირე რაოდენობით გაუსწრო სოციალისტური პარტიიდან წარდგენილ კანდიდატს, მომორ ბულატოვიჩს, რომელსაც სერბიის პრეზიდენტი სლობოდან მილოშევიჩი უჭერდა მხარს. არჩევნებში წაგებულმა ბულატოვიჩმა განაცხადა, რომ არჩევნების შედეგები ფალსიფიცირებული იყო. სწორედ ამ განცხადებამ გამოიწვია ძალადობის პროვოცირება.

იარაღითა და ასაფეთქებელი ნივთიერებებით შეიარაღებული დემონსტრანტები უკვე ორი დღის განმავლობაში ცდილობენ თავისი პოზიციის განმტკიცებას, ხოლო პოლიცია დიდი დანაკარგების ფასად ცდილობს აბუნტებული ბრბოს შეჩერებას. ჩერნოგორიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, ოთხშაბათს მომხდარი შეტაკებების შედეგად 45 ადამიანი დაშავდა, მათ შორის 40 პოლიციელი. ადგილობრივმა რადიომ გამოაცხადა, რომ შეტაკებებში ერთი ადამიანი დაიღუპა, მაგრამ ოფიციალურმა წყაროებმა ეს ინფორმაცია არ დაადასტურეს. (გეა)

## პინოჩეტმა გადადგომა გადაიფიქრა

ჩილეს ყოფილმა დიქტატორმა, გენერალმა აუგუსტო პინოჩეტმა, კრიტიკისა და კონგრესის მხრიდან ტრიბუნალის მოწყობის მუქარის გამო ქვეყნის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის პოსტიდან გადადგომა გადაიფიქრა.

ქვეყნის კონსტიტუციის თანახმად, პინოჩეტს მთავარსარდლის თანამდებობის შენარჩუნების უფლება მხოლოდ 1998 წლის 11 მარტამდე აქვს, რის შემდეგაც მას სენატში მუდმივი ადგილის დაკავება ჰქონდა დაგეგმილი, რითაც მთავრობის მომხრე სენატორების მხრიდან კრიტიკის „ქარცეცხლი" დაიმსახურა. სენატორები აღშფოთებულნი იყვნენ იმით, რომ პინოჩეტი პატიოსანი პოლიტიკური ბრძოლის გვერდის ავლით ცდილობს საკანონმდებლო ორგანოში შეღწევას. მემარჯვენე ოპოზიცია კი თვლის, რომ სოციალისტები იმ ადამიანის სახის ლიკვიდაციას ცდილობენ, რომელმაც ჩილე გადაარჩინა. კონგრესში დისკუსიები ისე დაძაბულად წარიმართა, რომ ქვედა პალატის სხდომა შეწყდა, რადგან ოპონენტები ხელჩართული შეტაკების ზღვარზე იდგნენ. (გეა)

## დაიანას ფონდი სიძნელეებს განიცდის

პრინცესა დაიანას სახელობის ფონდი ფინანსურ სიძნელეებს განიცდის. იურიდიულმა ფირმამ „მიშონ დე რეიემ", რომელიც ფონდის საქმეებითაა დაკავებული, 815 ათასი დოლარის ანგარიში წარადგინა შესრულებული სამუშაოებისთვის.

თვით იურისტები, რომლებმაც ეს ფონდი პრინცესას დაღუპვიდან სამი დღის შემდეგ ჩამოაყალიბეს, თვლიან, რომ თავიანთ საზარალოდ მუშაობენ. „მიშონ დე რეიე" ცდილობს პრინცესას სახელის სავაჭრო ნიშნად დამტკიცებას, რათა ფონდს პრინცესას სახელით გაყიდული საქონლის ღირებულების 30% გადაერიცხოს. ამჟამად ფონდმა 60 მილიონი დოლარის შეგროვება შეძლო, აქედან 32 მილიონი დოლარი ელტონ ჯონის სინგლის „სანთელი ქარში" გაყიდვიდან შევიდა. ფონდის მესვეურებს ჯერ არ გადაუწყვეტიათ, თუ ვის დაეხმარებიან. ჯერჯერობით ისინი ეძებენ კანდიდატს ფონდის ხელმძღვანელის პოსტზე, რომელსაც წელიწადში 122 ათასი დოლარის შემოსავალი ექნება. (გეა)

# გმირული სულით

ძალზე ხშირად ადამიანები ამცირებენ ზუსტად ყველაზე ძვირფას სულიერ საწყისს და ამ შემთხვევაში მე საქმე მაქვს იმ უდიდეს საწყისთან, რომელსაც გმირობა ეწოდება.

ეს საწყისი ყოველი ერის სულიერ და ფიზიკურ საფუძველს წარმოადგენს და როდესაც იგი მოიშლება, ერი მიდის საკაცობრიო ისტორიის ასპარეზიდან. მაგრამ თუ ერი გმირული საწყისით ძლიერია, მაშინ მტერი ყველაზე მუხანათური ხერხით ერის გმირული საწყისის წინააღმდეგ იწყებს ბრძოლას. როგორ? ნაპოლეონი ამბობდა, რომ თუ გინდა ქვეყნის დაპყრობა, მაშინ მისი ეროვნული გმირები ტალახში უნდა ამოსვაროო.

ბევრი ხაფანგი არის ქართველთა ისტორიის გზაზე დაგებული. ბევრი უვნებელყავით, გამოვიცანით, მაგრამ დღევანდელ „უგმირობას", გმირული სულისკვეთების „უქონლობას" ხელოვნურად რომ გვინერგავენ სხვათა კომპლექსების პარალელურად, ჩვენ ამას ვერ ვხედავთ და არც გვინდა, რომ დავინახოთ.

სხვაგვარად აბა როგორ აიხსნება, რომ ამდენი ომი გადავიტანეთ და ომი გმირის გარეშე?! ეს ხომ უკვე ომი კი არა, ჟლეტა გამოდის!

სხვაგვარად როგორ აიხსნება, რომ ჩვენს ყოველდღიურობაში უამრავი გმირი იბადება და ჩვენ მათ ჰრამცთუ ვქქმალავთ, ჩვენ მათ უკვე ველარც კი აღვიქვამთ, იმდენად გაუფასურდა ეს ცნება ჩვენს ცნობიერებაში. ვინ წერს აფხაზეთის ომში დაბადებულ გმირებზე?

ომით შობილ გმირთა ნუსხას ტომები არ ეყოფა, მაგრამ ისინი ჩვენს გვერდით, ჩვენს ყოველდღიურობაშიც გვხვდებიან: სულ რამდენიმე თვის წინათ თბილისელებს აცნობეს „მოამბეში", რომ მუხრანის ხიდიდან მტკვარში „მერსედესი" „გადმოხტა" ხუთი მგზავრით. ეს იყო და ეს, – ყველანი გადარჩნენო...

კი მაგრამ, იმ დალოცვილებმა რატომ არ აღიარეს საოცარი ახალგაზრდა, ნიკა თავაძე, რომელმაც იმ სუსხიან დღეს ცივი მტკვარიდან სათითაოდ ამოიყვანა ხუთი ადამიანი. ამოიყვანა და არც კი დაუცემინებია, არამცთუ არ გაცივებულა აქაც, ალბათ, იოლი დასანახია განგების ხელი გმირი ჭაბუკისადმი.

დაე, დაირქვან ბავშვებმა გმირთა სახელები, დაე, მიბაძონ მათ უძლიერეს თვისებებს. მიეცით მათ მკაფიოდ გამოხატული საგმირო წიგნები.

უნიათო მიტევება არ შეშვენის ომის ქარცეცხლში გამოვლილ და გამობრძმედილ ერს, არამედ შემოქმედებითი დინჯი, ხანგრძლივი მოთმინება, ძალის დაგროვება და როგორც „ჩაკრულო" ამბობს:

მაცალე ერთიც გავლესო
ხმალ-ჩახმახ ცეცხლის კვესია
სულ ერთად მოგამკევინო
რაც ჩემთვის დაგითესია...

ალბათ, ამას გულისხმობდა ჩვენი პრეზიდენტი, როდესაც თავის საახალწლო მილოცვაში ერისადმი მან აფხაზეთს „სიკვდილ-სიცოცხლის" პრობლემა უწოდა...

სიტყვის პაპა

# აეროპორტი სამომავლოდ თანამედროვე კომფორტს გვპირდება

*სამი წელია, რაც ქალაქ სენაკში აეროპორტი ფუნქციონირებს, მაგრამ თანამედროვე კომფორტზე საუბარი არ შეიძლება, თუმცა ყველაფერი კეთდება მგზავრთა მაღალი დონის მომსახურებისათვის.*

*გვესაუბრება სენაკის აეროპორტის კომერციული ფირმა „კოლხის" დირექტორი – ბატონი გურამ ადანაია.*

*– დიახ, სამი წლის უკან, ბატონ დამირ კვაშილავას უშუალო თაოსნობით დაიწყო აეროპორტის ფუნქციონირება. დღეისათვის მოსკოვის, სანქტ-პეტერბურგის, სოჭის, როსტოვის მიმართულებით ფრენას ახორციელებს „ТУ-154", „ТУ-134" და „АН-42" ტიპის თვითმფრინავები.*

– აეროპორტი არის საერთაშორისო, გააჩნია შესაბამისი სამსახურები, წესრიგშია ტექნიკური საშუალებები.

*– ბილეთების ფასი როგორია?*

– სხვა აეროპორტებთან შედარებით უფრო დაბალი. მოსკოვამდე მგზავრობა ღირს 145–155 ლარი, ხოლო სანქტ-პეტერბურგამდე – 200 ლარი.

*– ბატონო გურამ, ძალიან დიდი მოთხოვნილებაა სტამბულზე და ტრაპიზონზე. ხომ არ აპირებთ ამ მიმართულებით მარშრუტების გახსნას?*

– ჩვენ ეს გეგმაში გვქონდა, მაგრამ საზღვარგარეთ ფრენა რომ განვახორციელოთ, ამისთვის საჭირო არის შესაბამისი სერვისი, რისი საშუალებაც ჯერჯერობით არ გვაქვს. თუმცა დღესაც დაფრინავს სტამბულში ჩვენი აეროპორტიდან თვითმფრინავი, მაგრამ ეს არ არის სამგზავრო თვითმფრინავი.

*– სამომავლოდ?*

– ჩვენი აეროპორტით დაინტერესებულია ამერიკა, იაპონია, საფრანგეთი, გერმანია. ასე რომ, არის პერსპექტივა, აეროპორტი უახლოეს მომავალში საერთაშორისო სტანდარტებით მოემსახუროს მგზავრებს.

*– პრობლემებზე რას იტყოდით?*

– გვაქვს ისეთი პრობლემები, რომელთა გადაუჭრელობის შემთხვევაში აეროპორტის ხვალინდელი დღე ეჭვქვეშ დადგება. მხედველობაში მაქვს აეროპორტის ტერიტორიაზე დისლოცირებული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ნაწილები.

უცხოელი სპეციალისტები ამის გამო ჩვენთან თანამშრომლობაზე უარს აცხადებენ და ინვესტიციებს არ დებენ. ეს ცნობილია საქართველოს მთავრობისათვის და გვპირდებიან ნაწილების ადგილმონაცვლეობას.

ჩვენ ბიუჯეტის მიმართ გვაქვს 176000 ლარის დავალიანება, ხოლო სახელმწიფოს აქვს ჩვენი ვალი 240000 დოლარი და ვითხოვთ ეს თანხა ჩაგვითვალონ ბიუჯეტის დავალიანებაში.

ეს საკითხი ძალიან გვაწუხებს და თუ არ გადაწყდა დადებითად, ძალიან ცუდ მდგომარეობაში მოვექცევით.

დაბოლოს, მიუხედავად ასეთი სახის პრობლემებისა, ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ სენაკის აეროპორტის მგზავრთა მაღალ დონეზე მომსახურებისათვის.

ნანა ძველაია



# საქართველოში ტუბერკულოზით 6500-მდე ადამიანია დაავადებული

ტუბერკულოზთან ბრძოლის სახელმწიფო პროგრამის მართვის ცენტრის მონაცემებით, 1997 წელს საქართველოში სულ აღრიცხულია ტუბერკულოზით დაავადებული 6500-მდე ადამიანი, რომელთაგან 650 ბავშვია. აღნიშნულიდან გამომდინარე, ყოველ 100 ათას მოსახლეზე რეგისტრირებულია 120-დან 150-მდე დაავადების შემთხვევა. ხოლო 70-დან 90-მდე ახალი შემთხვევების რაოდენობაზე, ანუ ავადობაზე მოდის.

მართვის ცენტრის დირექტორის, გია ხეჩინაშვილის თქმით, მსოფლიოში ტუბერკულოზის დაავადების მხრივ ყველაზე მძიმე მდგომარეობა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის და აფრიკის ქვეყნებშია, სადაც 100 ათას მოსახლეზე რეგისტრირებული ავადობა 250 ერთეულის ტოლია, ყველაზე უკეთესი მდგომარეობა ამ მხრივ ევროპის ქვეყნებში, კერძოდ, ნორვეგიასა და დანიაშია (6 შემთხვევა). ცენტრალურ ევროპაში 9-10-12-ის, ხოლო აშშ-ში იგი 12-14-ის ტოლია.

ხეჩინაშვილის განცხადებით, საქართველო ამ მხრივ ირანს, ნაწილობრივ, რუსეთს, მოლდავეთს, რუმინეთს, სომხეთსა და აზერბაიჯანს უტოლდება.

აღსანიშნავია, რომ მსოფლიოში 60-იანი წლებიდან 80-იანის შუა წლებამდე აღნიშნული დაავადების მიმართ ყურადღება შენელდა, რამაც შედეგად ამ დაავადების გავრცელების ახალი ტალღა წარმოშვა. მიიჩნევენ, რომ განვითარებად ქვეყნებში გავრცელების მიზეზი მოსახლეობის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური და სხვა ფაქტორებია. ხოლო განვითარებულში კი – განვითარებადი ქვეყნებიდან ამ ქვეყნებში მოსახლეობის მიგრაცია და შიდსი. (გეა)

# საგადასახადო ინსპექტორებს ბოლოს მოვუღებ – ამბობს მიხეილ ჭკუასელი

**თბილისის** კაზინოებისა და რესტორნების შემდეგ ფინანსთა მინისტრი, მიხეილ ჭკუასელი მრავალრიცხოვანი არმიით სუპერმარკეტებისა და მაღაზიების შემოწმებას შეუდგა. შემოწმდა 15 სუპერმარკეტი და 11 მაღაზია. როგორც პირველ, ასევე მეორე შემთხვევაში აღმოაჩინეს არაკეთილსინდისიერად გადამხდელი ობიექტები.

კერძოდ, შემოწმების შედეგად სუპერმარკეტ „ელიზში" აღმოაჩინეს 50 ათასი ლარის აღურიცხავი საქონელი, „ევრომარკეტში" – 20,5 ათასი ლარის, „უნიკა დიპლომატში" – 9200, „ედემში" – 6200, „ნაკადულში" – 6100, „ბაბილონში" – 6500. ამ ციფრებმა, რბილად რომ ვთქვათ, არ დააკმაყოფილა მიხეილ ჭკუასელი და უკმაყოფილება გამოთქვა საგადასახადო ინსპექციის მუშაობის გამო.

სულ ჯამში 15 სუპერმარკეტს საგადასახადო კანონმდებლობის სხვადასხვა დარღვევების გამო დაერიცხა 118,1 ათასი ლარი.

რაც შეეხება მაღაზიებს, არც აქ აღმოჩნდა უკეთესი მდგომარეობა. კერძოდ, მაღაზია „დავის" დაერიცხა 8100 ლარი, „ფილიპში" აღმოაჩინეს 32 ათასი ლარის დანაკლისი, „მეგობარს" დაერიცხა 5200 ლარი, „პანასონიკს" – 3500 ლარი, „სემანს" – 6700 ლარი.

საერთო ჯამში 11 მაღაზიას 41,7 ათასი ლარი დაერიცხა, მაღაზია „ჩარლი" და პარფიუმერიის მაღაზია (რუსთაველის გამზირზე) დამატებით შესწავლას მოითხოვს.

წინასწარი მონაცემებით, მაქსიმალური თანხა, რომელსაც ზემოთ ნახსენები ობიექტები სახელმწიფოს უხდიან 1000 ლარია, არის შემთხვევა, როცა მაღაზია 200 ლარს ან საერთოდ არაფერს იხდის.

„თუ გადავხედავთ მონაცემებს, ვერც ერთი რაიონის საგადასახადო ინსპექციის უფროსი ვერ იტყვის, რომ მუშობს. ხოლო თუ ისინი არ იმუშავებენ წესიერად, თვითონ მოვუღებ ბოლოს, ისე, რომ კონტროლის პალატის შემოწმებაც კი აღარ დაჭირდებათ" – განაცხადა მიხეილ ჭკუასელმა. მისი თქმით, დღეისათვის დახლოებით 15-20 ტონა ფქვილია დალუქული. როგორც მინისტრმა აღნიშნა, შემოწმების შედეგად უწყება სერიოზულ ფაქტებს მიადგა და გამოიკვეთა მთელი რიგი მომენტები.

მიხეილ ჭკუასელმა საგადასახადო ინსპექციის რაიონების გამგებლებთან და სანეპიდსადგურის წარმომადგენლებთან ერთად ცალკეული ობიექტების სერიოზული შემოწმება და პროცესის ბოლომდე მიყვანა დაავალა. მისი მონაცემებით, გაწეული მუშაობის შედეგად თბილისში არსებული პატარა საცხობების 30%-მდე დაიხურა.

„ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს წვრილ-წვრილი საწარმოების დახურვა. ჩვენი მიზანია ვაქციოთ ისინი კეთილსინდისიერ გადამხდელებად. ობიექტს, რომელიც წესიერად იხდის გადასახადს, არავითარი პრობლემა არ ექნება" – განაცხადა მიხეილ ჭკუასელმა.

მინისტრის თქმით, თბილისში უნდა განისაზღვროს ადგილი, კერძოდ, საწყობი, რომელიც აკმაყოფილებს სანიტარულ ნორმებს, სადაც მოხდება ფქვილის რეალიზაცია. ჭკუასელის აზრით, ქალაქში უნდა გამოიკვეთოს 3-4 ასეთი ტიპის ადგილი და მომზადდეს პურის ფქვილის, შაქრის, რძის ფხვნილის და მსგავსი პროდუქტების სარეალიზაციოდ. (გეა)

# საქართველო მსოფლიო მზის პროგრამაში

ბუშინ თბილისში, სასტუმრო „შერატონში" მუშაობა დაასრულა უმაღლესი დონის ექსპერტთა საერთაშორისო კონფერენციამ თემაზე „სამხრეთ საქართველოში მდგრადი განვითარების პერსპექტივები. კერძოდ, ასპინძის რაიონში მზიური დასახლების სოციალურ-ეკონომიკური განვითარება".

სახელმწიფო მინისტრის მოადგილემ, ზაზა შენგელიამ აღნიშნა, რომ კონფერენციისთვის მზადება დიდი ხნის მანძილზე მიდიოდა.

„აღნიშნული კონფერენცია გამოვიყენეთ იმისათვის, რომ მსოფლიო მზის პროგრამაში მონაწილე ქვეყნებისათვის გაგვეცნო ჩვენი კონცეფცია. ეს არის ერთგვარი სავიზიტო ბარათი იმისა, რომ საქართველომ სახელმწიფოებრივ რანგში აიყვანა განახლებადი ენერგეტიკის გამოყენების საკითხი" – განაცხადა ზაზა შენგელიამ. მისივე თქმით, ამით საქართველო დიდ დივიდენდებს მიიღებს, ვინაიდან ასეთ რანგში არც ერთ ქვეყანაში არ არის დამტკიცებული სახელმწიფო კონცეფცია.

რაც შეეხება საკუთრივ ასპინძის მზიური დასახლების პროექტს, სახელმწიფო მინისტრის მოადგილის თქმით, ეს იქნება პირველი პროექტი, როგორც შედეგი ამ დარგში სახელმწიფოს მოღვაწეობისა. მისივე ინფორმაციით, პროექტის ღირებულება 10-12 მლნ დოლარს შეადგენს, ამიტომ წარიმართება სერიოზული მუშაობა ინვესტორების მოსაზიდად. (გეა)

*უკვე რამდენიმე დღეა, გრძელდება ბრალდებულ ჯაბა იოსელიანის სასამართლო-სამსჯავრო დაკითხვა. მან პათეტიკური სიტყვებით მიმართა დამსწრე საზოგადოებას, რომ სამშობლო და სახელმწიფოს მეთაური ერთსა და იმავეს არ წარმოადგენს. თუ რაიმეს ჩაიდენ სახელმწიფოს წინააღმდეგ, მხოლოდ ეს მიმაჩნია სამშობლოს ღალატად, ხოლო, პრეზიდენტის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული სულ სხვა საქმეა. როცა მივმართე ამჟამინდელ პრეზიდენტს, რომ თუ რაიმეს ჩაიდენ სახელმწიფოს წინააღმდეგ, ჩემზე მეტი მტერი არ გეყოლებათ-მეთქი, – მიპასუხა: ვიცი ჯაბა, ვიციო. შევარდნაძის კაცი არასოდეს ვყოფილვარ, პროკურატურამ თავი უნდა დაანებოს წმინდა იურიდიული დოგმებით ლაპარაკს, სალხი და აქედან გამომდინარე, სიტუაციები ერთმანეთთან არის დაკავშირებული.*



# იოსელიანის პროცესი

ძირითადად გუშინ გამართულ სასამართლო პროცესზე ჯაბა იოსელიანს პროკურატურის წარმომადგენლები აძლევდნენ შეკითხვებს.

კითხვაზე ჭანტურიას შესახებ იოსელიანმა პასუხი არ დააყოვნა და თქვა, რომ მისი გამოსვლების შესახებ პირველი დღიდანვე ყველაფერი ცნობილი იყო და როგორც მეგობარი, იგი მის რჩევებს ითვალისწინებდა. მაგრამ როდესაც ჭანტურიამ განუცხადა, რომ კიტოვანთან ერთად აპირებდა წასვლას, ამ გარემოებამ მათ შორის საკმაოდ დიდი უფსკრული შექმნა. ჭანტურიას იმედიან აფასებდა, რომ საგანგებო მდგომარეობის დროს ე.ი. 1993 წელს საგანგებო კომიტეტში შეიყვანა და ფაქტიურად მეორე კაცი გახადა.

იოსელიანის პრეზიდენტისთვის რამდენჯერმე განუცხადებია, რომ მათ სურდათ არა დიქტატორი მმართველი, არამედ დემოკრატი. წარმოადგენდა თუ არა იოსელიანი პრეზიდენტის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეს და, ამის თაობაზე პასუხი პარლამენტში საკოორდინაციო საბჭოს მოადგილესთან განუცხადებია. იოსელიანის პასუხმა შევარდნაძე გაანაწყენა, რადგან მან დაასწრო თავისი მოსაზრების წარმოთქმა. ერთადერთ გამოსავალს არსებული სიტუაციიდან გამომდინარე იოსელიანი კანონის დაცვაში მიიჩნევს.

კითხვაზე: გეკუთვნით თუ არა სიტყვები: „ომი ომია, რომელიც თავად არის ყაჩაღობა", იოსელიანმა განმარტა, რომ ეს ფრაზა ფილოსოფოსის გამონათქვამია და ჩემს დღევანდელ არასოდეს გამომიყენებიაო.

ჯაბა იოსელიანმა კატეგორიულად უარყო მხედრიონის საპატიო თავმჯდომარის თანამდებობაზე დანიშვნა და განაცხადა, რომ იგი იყო მაშველთა კორპუსის საპატიო თავმჯდომარე. რაც შეეხება იარაღის მფლობელობას, იოსელიანმა აღნიშნა, რომ მაშველთა კორპუსის წევრებს აუცილებლად უნდა ჰქონოდათ საბრძოლო მასალა. თუმცა ბატონ ნოდარ ნათაძემ თავის გამოსვლაში ამ ფაქტთან დაკავშირებით სრულიად საწინააღმდეგო აზრი გამოთქვა, რაც ყოვლად მიუღებლად მიიჩნია და ამის გასაბათილებლად შვეიცარიის მაგალითი მოიშველია.

ორგანიზაციის კუთვნილი იარაღი პირამიდებში ინახებოდა და თითოეულ წევრზე გაფორმებული იყო საბრძოლო მასალა. იყო კონკრეტული შემთხვევა, როცა ბრძოლის ველზე უპატრონოდ დაგდებული იარაღი, მაგრამ ამ შემთხვევაში ხდებოდა მათი გაფორმება.

„რადგან მე ვიყავი საგანგებო კომიტეტის თავმჯდომარე, აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ უფლება მქონდა გამეკეთებინა ყველაფერი დოკუმენტებით. თუ თქვენ თვლით, რომ კომიტეტი ბანდიტურ დაჯგუფებას წარმოადგენდა, მაშინ გამოდის, რომ შევარდნაძე და მინისტრებიც ბანდიტები ყოფილან" – აღნიშნა იოსელიანმა.

რაც შეეხება მათ მიერ წარმოებულ ბრძოლებს, იოსელიანმა განმარტა, რომ „ჩვენ არ გვქონდა კადრებით ბრძოლის ვარიანტი, შევედით სტიქიურად". ზუგდიდში ზვიადისტებთან შეტაკების დროს დაიღუპა გალის მხედრიონის უფროსი და 6 მებრძოლი.

6 ნოემბერს მაშველთა კორპუსის წარმომადგენლების შესვლა ზუგდიდში მისთვის ცნობილი არ იყო. მან კატეგორიულად განაცხადა, რომ არაფერი იცოდა მხედრიონის წევრთა ყაჩაღური თავდასხმების შესახებ. კითხვაზე, თუ მიუმართავთ მისთვის პოლიციის წარმომადგენლებს ჩივილით, უპასუხა, რომ „პოლიციის თანამშრომლებს არ ვენდობოდით და ამაზე შესაბამისი ბრძანებაც გვქონდა შევარდნაძის ხელმოწერით".

იცოდა თუ არა იოსელიანმა იმის შესახებ, რომ მხედრიონელებმა ზუგდიდში გაათავისუფლეს პატიმრები, მან უარი განაცხადა, თუმცა დაამატა, რომ მისთვის ცნობილი იყო შავნაბადას ბატალიონის წევრების იქ ყოფნა.

„არავინ იცის, მოწმეები, რომლებიც ჩვენ გვადანაშაულებენ, თავად არ იყვნენ მკვლელები: სხვა განსახლებულების მსგავსად ჩემი ცემაც დააპირეს, ნაცნობებიც ამომიყვანეს ამისათვის, მაგრამ მე დავემუქრე, რომ თუ ხელს დამადებდნენ, მთელ ციხეს ფეხზე დავაყენებ-მეთქი – ამაყად განაცხადა იოსელიანმა.

იოსელიანის პარლამენტის სხდომაზე ბევრჯერ მიუმართავს პრეზიდენტისათვის გადადგომაზე. ბრალდებულმა სასამართლოზე წინასწარი დაკითხვის დროს მიცემული ჩვენებების სისწორე დაადასტურა.

შეიძლებოდა თუ არა, რომ პოლიტიკური დაპირისპირება გამხდარიყო ჭანტურიას მკვლელობის მიზეზი? ეს მოტივი ყოვლად დაუშვებელია – განმარტა მან.

„შევარდნაძე ჩემი მეგობარი არ ყოფილა, განსაკუთრებული ურთიერთობა მასთან არასოდეს მქონია. პირადად რამდენჯერმე გავაფრთხილე პრეზიდენტი, რომ თქვენი პირადი კაცი არ ვარ. ჩვენი ურთიერთობა შევარდნაძემ უნიკალურ მეგობრობად მიიჩნია, რადგან ვეუბნებოდი იმას, რასაც ვფიქრობდი და არავითარი მითქმა-მოთქმა ჩვენს შორის არ არსებობდა. პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს ყოველთვის ვაფრთხილებდი, რომ ყოვლად დაუშვებელია ამდენი უფლებები ერთ პიროვნებას მივანიჭოთ. ყალიბდებოდა შევარდნაძის პრინციპატი. შევარდნაძის დასაყრდენ ძალას მარტო მე არ წარმოვადგენდი, მისი ჩამოყვანა ბევრს უნდოდა.

ბრალდებულმა ხაჩიშვილმა გუშინ გამართულ სხდომაზე წამოაყენა ორი შუამდგომლობა. პირველი ეხება საქართველოში აშშ-ს კონსულის რონალდისა და საელჩოს ექიმის დამატებით მოწმეებად მიყვანას, ხოლო მეორე ეხებოდა იმ პირის გვარის დასახელებას, რომელიც ამხელდა მას ტერორისტულ აქტში, რასაც მხარი დაუჭირა ადვოკატმა შალვა ჩხეიძემ, მაგრამ აღნიშნული შუამდგომლობები არ დაკმაყოფილდა.

რაც შეეხება უშიშროების ყოფილ შეფს იგორ გიორგაძეს, ხაჩიშვილმა იგი პოლიტიკურ ემიგრანტად მიიჩნია.

**ეკა ლებანიძე**

# ლატარია ყველასათვის

16 იანვარს გათამაშდა

I ტირაჟში მოიგეს შემდეგმა ნომრებმა:

| | |
|---|---|
| 5 ლარი — | ***341 |
| 5 ლარი — | ***909 |
| 10 ლარი — | ***616 |
| 100 ლარი — | 240412 |
| 10 ლარი — | 140412 |
| 10 ლარი — | 340412 |
| 10 ლარი — | 440412 |
| 10 ლარი — | 540412 |
| 1 ლარი — | ***412 |
| 200 ლარი - | 230498 |
| 20 ლარი — | 130498 |
| 20 ლარი — | 330498 |
| 20 ლარი — | 430498 |
| 20 ლარი — | 530498 |
| 2 ლარი — | **0498 |
| 1 ლარი — | ***498 |
| 300 ლარი — | 131496 |
| 30 ლარი — | 231496 |
| 30 ლარი — | 331496 |
| 30 ლარი — | 431496 |
| 30 ლარი — | 531496 |
| 3 ლარი — | **1496 |
| 1 ლარი — | ***496 |
| 400 ლარი | 506705 |
| 40 ლარი — | 106705 |
| 40 ლარი — | 206705 |
| 40 ლარი — | 306705 |
| 40 ლარი — | 406705 |
| 4 ლარი — | **6705 |
| 1 ლარი — | ***705 |
| 500 ლარი — | 362165 |
| 50 ლარი — | 162165 |
| 50 ლარი — | 262165 |
| 50 ლარი — | 462165 |
| 50 ლარი — | 562165 |
| 5 ლარი — | **2165 |
| 1 ლარი — | ***165 |
| 600 ლარი — | 155182 |
| 60 ლარი — | 255182 |
| 60 ლარი — | 355182 |
| 60 ლარი — | 455182 |
| 60 ლარი — | 555182 |
| 6 ლარი — | **5182 |
| 1 ლარი — | ***182 |
| 700 ლარი — | 224163 |
| 70 ლარი — | 124163 |
| 70 ლარი — | 324163 |
| 70 ლარი — | 424163 |
| 70 ლარი — | 524163 |
| 7 ლარი — | **4163 |
| 1 ლარი — | ***163 |
| 800 ლარი — | 315812 |
| 80 ლარი — | 115812 |
| 80 ლარი — | 215812 |
| 80 ლარი — | 415812 |
| 80 ლარი — | 515812 |
| 8 ლარი — | **5812 |
| 1 ლარი — | ***812 |
| 900 ლარი — | 136417 |
| 90 ლარი — | 236417 |
| 90 ლარი — | 336417 |
| 90 ლარი — | 436417 |
| 90 ლარი — | 536417 |
| 9 ლარი — | **6417 |
| 1 ლარი — | ***417 |
| 1000 ლარი | 254850 |
| 100 ლარი — | 154850 |
| 100 ლარი — | 354850 |
| 100 ლარი — | 454850 |
| 100 ლარი — | 554850 |
| 10 ლარი — | **4850 |
| 1 ლარი — | ***850 |
| 5000 ლარი | 549450 |
| 50 ლარი — | 149450 |
| 50 ლარი — | 249450 |
| 50 ლარი — | 349450 |
| 50 ლარი — | 449450 |
| 5 ლარი — | **9450 |
| 1 ლარი — | ***450 |
| ავტომანქანა | 435164 |
| 1 ლარი — | ****64 |
| სპ.ბილეთი | **4616 |
| 2 ლარი — | ***616 |

I ტირაჟის მოგებულ ბილეთებზე გაიცემა მხოლოდ მაქსიმალური მოგება

„ლატარია ყველასათვის" გათამაშდება ყოველ პარასკევს.

მოგებები გაიცემა შაბათობით 11.00 საათიდან 16.00 საათამდე სპორტის სასახლესთან.

# ხაჩიშვილმა «სიცრუის დეტექტორი» მოითხოვა

გუშინდელ სასამართლო პროცესზე საქართველოს ყოფილმა შინაგან საქმეთა მინისტრმა, თემურ ხაჩიშვილმა, რომელსაც 1995 წლის 29 აგვისტოს სახელმწიფო გადატრიალების მოწყობის მცდელობაში ადანაშაულებენ, მოსამართლე ჯემალ ლეონიძეს სთხოვა, რომ „სიცრუის დეტექტორით" გასინჯონ თვით იგი, საქართველოს გენერალური პროკურორი, ჯამლეთ ბაბილაშვილი, შინაგან საქმეთა მინისტრი, კახა თარგამაძე და უშიშროების ყოფილი მინისტრი, შოთა კვირაია. თემურ ხაჩიშვილის თქმით, „იგი აბსოლუტურად უდანაშაულოა, დამნაშავენი კი ის ადამიანები არიან, ვინც მას სასამართლო დარბაზში აკავებს".

„შინაგან საქმეთა სამინისტრო, პროკურატურა და უშიშროების სამინისტრო 1995 წელს ალიანსში იმყოფებოდნენ. მათ წინასწარ იცოდნენ, რომ მე უნდა დავეკავებინე" – განაცხადა ხაჩიშვილმა. მისივე თქმით, „მიუხედავად იმისა, რომ პროკურატურაში ყოველთვის უამრავი იარაღი იყო, არც ერთი პროკურორი აფხაზეთის ომის დროს ქართველებს იარაღით არ დახმარებია". (გეა)

# გიორგაძე თეთრ ცხენზე ამხედრებული დაბრუნდება...

„იგორ გიორგაძე – საქართველოს უშიშროების ყოფილი ხელმძღვანელი – პოლიტიკური ემიგრანტია" – განაცხადა სასამართლო პროცესზე საქართველოს შინაგან საქმეთა ყოფილმა მინისტრმა, თემურ ხაჩიშვილმა.

მან სასაცილო უწოდა განცხადებას იმის შესახებ, თითქოს იგორ გიორგაძე ტერორისტია. მისი თქმით, ამისი არავის სჯერა. თავისი სიტყვების სიმართლის დასამტკიცებლად ხაჩიშვილმა განაცხადა, რომ „სულაც არ იყო იმელის შენობაში შევარდნაძის აფეთქების აუცილებლობა მაშინ, როცა იგი „მხედრიონის" ლიდერის კაბინეტის გვერდით კაბინეტში იმყოფებოდა. დასასრულს ხაჩიშვილმა იმედი გამოთქვა, რომ იგორ გიორგაძე აუცილებლად დაბრუნდება თეთრ ცხენზე ამხედრებული. (გეა)

# თავდასხმა გაზეთის კომერციულ დირექტორზე

**11 იანვარს, საღამოს რვა საათზე სააკაძის ქუჩაზე თავს დაესხნენ გაზეთ „საქართველოს სამრეკლოს" კომერციულ დირექტორს ზაურ იობაიას და მძიმედ დააშავეს. მომხდარის შესახებ თავად დაზარალებულს გავესაუბრეთ. ცხადია, მის ეჭვებზე პასუხისმგებლობას თავადვე კისრულობს...**

– გაზეთის მორიგი ნომრის გამოცემის თაობაზე მივდიოდი გაზეთ „საქართველოს სამრეკლოს" მთავარი რედაქტორის ჯემალ დავლიანიძის ბინაზე. მოულოდნელად თავში საშინელი დარტყმა ვიგრძენი. ინსტინქტურად უკან მოვიხედე და დავინახე სამი ადამიანი. წავიქეცი და გონება დავკარგე. გონს რომ მოვედი, დასისხლიანებული გავემართე სახლისაკენ (აღმოჩნდა, რომ თავდამსხმელებს ხელი არ ეხლოთ საბუთებიანი ჩანთისათვის).

*– პრესაში რამდენჯერმე გამოქვეყნდა თქვენზე „მრავალრიცხოვანი თავდასხმის" შესახებ.*

– ეს უკვე ჩემზე მეოთხე თავდასხმაა. პირველი თავდასხმა 1993 წლის აპრილში მოხდა, როცა მე გაზ. „საქართველოს სამრეკლოში" გამოვაქვეყნე სტატია – მსაჯულის ჩანაწერი „ბრძოლა პრესის წინაამდეგ გრძელდება", სადაც ვამხილე მთაწმინდის რაიონის მოსამართლის ვახტანგ თალაკვაძის მიერ საპროცესო კოდექსის უხეში დარღვევა, რაც გამოიხატებოდა მოსამართლისა და მსაჯულების მიერ განაჩენის გამოტანისას მხედრიონელების შესვლით მათ კაბინეტში.

ამის შემდეგ მე განვიცდიდი მუდმივ დევნას და შევიწროებას. მორიგი თავდასხმა 1993 წლის აგვისტოში განმეორდა და სერიოზული დაზიანება მიაყენეს ჩემს ჯანმრთელობას პოლიციის თანამშრომლებმა. აღიძრა სისხლის სამართლის საქმე და ოთხი თვის შემდეგ დაიხურა. შემდეგი თავდასხმა 1996 წლის მაისში მოხდა სადგურის ტერიტორიაზე. თავს პოლიციელები დამესხნენ და გამძარცვეს (გამოქვეყნდა ჩემი წერილი „სადგურის ყაჩაღები").

1997 წლის აპრილში გამომცემლობა „სამშობლოს" მიმდებარე ტერიტორიაზე დამხვდა სამი ნიღბიანი პიროვნება და დამემუქრნენ, თუ თქვენ გააგრძელებთ წერილების წერას, სამხილის ძიებას შევარდნაძის ხელისუფლების მიმართ, უმკაცრეს ზომებს მივიღებთ, თქვენს მთავარ რედაქტორს კი მოვუვლითო.

როგორც ცნობილია, თავს დაესხნენ მთავარ რედაქტორს ჯემალ დავლიანიძეს და მის ეზოდან გაიტაცეს შვილის კუთვნილი ავტომანქანა „ვაზ-07".

ამის შესახებ „საქართველოს სამრეკლოს" რედაქციამ გააკეთა განცხადება ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენაზე. რამდენიმე თვის შემდეგ დააბრუნეს გაძარცული მანქანის „ჩონჩხი".

ესაუბრა ნანა ჩეგიანი

# განცხადებები

შევიძენ ერთოთახიან ან ოთახნახევრიან ბინას დიდ დიღომში ან ნუცუბიძის პლატოზე 3000$-ის ფარგლებში. ტელ. 34-47-53 ელისო ან აჩიკო

იყიდება 6 ოთახიანი მაღალ დონეზე გარემონტებული ბინა ლოჯიით დიდი დიღმის დასახლებაში, I მიკრორაიონში 16 სართულიანი სახლის მე-12 სართულზე, კაპიტალური ავტოფარეხით, წყლის გამაცხელებელი სისტემით. ცნობებისათვის დარეკეთ 53-48-67

იყიდება კეთილმოწყობილი საკუთარი სახლი ბელეტაჟზე ორთაჭალაში. საცხოვრებელი ფართი 80 კვ.მ, აქვს იზოლირებული საკუთარი ეზო, ავტოფარეხი, ცხელი წყალი, ტელეფონი და დიდი კაპიტალური სარდაფი. ფასი 32000$ ტელ. 72-26-31

იყიდება კერძო ორსართულიანი სახლის I სართული 5 ოთახით, სათავსოებით, მანქანის სადგომით და ტელეფონით. ფასი 17000$ მის. ტაშკენტის ქ.56. ტელ. 38-67-54 ნანა

იყიდება იუგოსლავიის კედელი „აგონი". ფასი 2000$ ტელ. 39-02-33 იკითხეთ თამარი ან ანზორი

იყიდება კეთილმოწყობილი მაღაზია ინვენტარით. ფართი 200 კვ.მ, აქვს საწყობი, საბარგო ლიფტით, რომლის ფართია 200 კვ.მ. ფასი 35000$ ტელ. 72-26-31

იყიდება რუმინული სამზარეულო ფასი 1300$, ამერიკული ჯიბის ტელეფონი „მოტოროლა" ულტრალაითი, ფასი 700$, რუსეთის ტელევიზორი „იუგოსტი" 406 დცმ, შავ-თეთრი, მუშაობს 12 და 220 ვოლტზე, ფასი 130$, კონდეციონერი ფასი 130$, ფეხის საკერავი მანქანა „პოდოლსკი" ფასი 150$, წყლის გამაცხელებელი ატმორი, ისრაელის გამოშვება, ფასი 100$, ტრანზისტორი „ოკეანე" ფასი 60$. ტელ. 72-26-31

შ.პ.ს. „მეკო"-ს (რეგ. №5ა/4-338) ლიკვიდაციასთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირებს ვთხოვთ მიმართონ სალიკვიდაციო კომისიას მისამართზე: კრილოვის ქ.№3, ტელ. 95-44-57

## ბაკურ ქავთარაძეს!



ჩემო ბაკო, გილოცავ დაბადების დღეს. გისურვებ დღეგრძელობას და მზეგრძელობას. სილამაზე, სიკეთე და ბედნიერება ღმერთმა არ მოგიშალოს დედიკოსთან, მამიკოსთან და ნათიასთან ერთად. მთელი შენი ცხოვრება ნათელი და კეთილი გზით გევლოს.

გაზრდილიყავი საქართველოს საამაყო შვილი.

გკოცნის ნატო მამიდა

# მკვლევარ მედიკოსებს და ინჟინერ ელექტრიკოსებს

წამიკითხავს და გამიგია, რომ ტუბერკულიოზის გამომწვევი „კოხი"-ს ჩხირები მზის სხივების დაშუქების დროს იხოცებიან.

ზემოხსენებულმა სიტყვებმა მიმიყვანა იმ მოსაზრებამდე, რომ თუ ტუბერკულიოზით დაავადებული ცხოველის ფილტვებში შევიყვანთ უმტკივნეულოდ მზის სხივებს, მაშინ კოხის ჩხირები დაიხოცებიან და თუ ყოველივე ეს ასეა, მაშინ იქნება გამოგვენახა საშუალება და დრო ერთობლივი ექსპერიმენტების ჩასატარებლად, რადგანაც ჩვენ გვაქვს გამოგონება მზის სხივების სხეულის ნებისმიერ წერტილში შესაყვანად. იგი ათეულ და ასეულჯერ ყველა კუთხით გადახრას იტანს.

იქნებ მოხდეს ყველასათვის სასურველი შედეგის მიღწევა.

ჩვენი გამოგონება ძალიან მარტივია, მისი გამოყენება შეიძლება ელექტრონათურების, ტრანსფორმატორების, დროსელების, სტარტერების და სხვა მოწყობილობების გარეშე მაღაროების, მეტროების, საწყობების, ბნელი სათავსოებისა და ოთახების ნებისმიერი სიძლიერით განათების (დღესავით განათების) გამოგონებით. განსაკუთრებით უნდა დაინტერესდნენ მაღაროელები, რადგანაც მოწყობილობას არ გადააქვს მზის სხივის სითბური ელემენტები და არც მეთანის ასაფეთქებელი ნაპერწკალი.

მზის ჩასვლის შემდეგაც გვაქვს საშუალება ნათება ისევ გაგრძელდეს.

ბორის გოგია


მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

ტელეფონები:
რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის მოადგილე: 93-18-41

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
გაზეთის ინდექსი 66447

ფასი 50 თეთრი

დამფუძნებელი და გამომცემელი საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444